



MES 0 22 0000935941



23/08/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 09.08.2022

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 23:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;

ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;

ერეკლე ასტახიშვილი - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

ირინა ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან მოსახლიშვილი - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში“;

თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის": პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრებიდან ესწრებოდნენ:

ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და "მედიცინის სკოლის" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

მარინე გელანტია - სს „ჩაჩავას კლინიკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;

ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

დავით თათოშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;

დავით კობეშვიძე - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;

ბიძინა კულუმბეგოვი - შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის“ კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;

ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ნინო შარიქაძე - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა

და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

შორენა წიკლაური - შპს „ვეროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

გივი ჯავაშვილი - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ანა ქოიავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	შალვა პეტრიაშვილი	შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	თეიმურაზ ხუროძე		კანცლერი	I
3	ქეთევან ხუროძე		იურიდიული სამსახურის უფროსი	I
4	ავთანდილ გაგნიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	ლელა ვანიშვილი		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	I
6	გიორგი წილოსანი			I

			პროგრამის ხელმძღვანელი	
7	ნინო თაბაგარი-ბრეგვაძე		პროგრამის კონსულტანტი	I
8	ბეჟან წინამძღვრიშვილი		მრჩეველთა საბჭოს წევრი	I
9	ზვიად გაბისონია	შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	ხათუნა ბურკაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი	II
11	ელენე მამუკელაშვილი		ფაკულტეტის დეკანი	II
12	თამარ გვიანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
13	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
14	კონსტანტინე თოფურია		რექტორი	III
15	ირაკლი ქაშიბაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
16	მედეა ჯანჯღავა		პროგრამის თანახელმძღვანელი	III
17	გაგა გვენეტაძე		პროგრამის ხარისხის მენეჯერი	III
18	ქეთევან ჯინჭარაძე	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
19	მირიან ყენია		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
20	ელესო ელისაშვილი	შპს - გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	კანცლერი	V,VI,VII
21	მარიამ დარბაიძე		კანცლერის მრჩეველი	V,VI,VII
22	ლალი ჩაგელიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V,VI,VII
23	გივი ლობჯანიძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანი	V,VI,VII
24	ნინო ბოჭორიშვილი		სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V,VI,VII
25	ლიკა საჯაია		სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	V,VI,VII

26	რომან შენგელია	კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V,VI,VII
27	ვენედი ბენიძე		სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მიჰაი ბოროში	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ლეილა ახვლედიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თინათინ გოგნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ცოტნე სამადაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	თორნიკე ხომტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	თამთა ლევიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ბექა მარუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	ნინო ლიპარტელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	ქეთევან ოჩხიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
19	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V,VI,VII
20	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	V,VI,VII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის “მეწარმეობა და ინოვაციების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი;
6. შპს - გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის “კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი;
7. შპს - გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის “მეწარმეობა და ინოვაციების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი;
6. შპს - გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის “კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი;
7. შპს - გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი.

1. პირველი საკითხი : შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ვახტანგ გორგასაღის ქუჩა N9, თბილისი, ს/ი 0105, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ლევან რატიანმა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიჰაი ბოროშმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, იყო დეტალურად და ღრმად გაანალიზებული პროგრამის შესაბამისობის სტანდარტებთან. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი აგრეთვე გაეცნო 2020 წლის დასკვნას, თუმცა ამ დასკვნას არ ქონია გავლენა არსებულ დასკვნაზე, და გაანალიზებული იყო მხოლოდ იმ კუთხით რათა შეედარებინათ მათი და 2020 წლის ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები.

მიჰაი ბოროშის თქმით, პროგრამის შეფასების ანალიზის პირველი ეტაპი დაიწყო იმით, რომ ჯგუფმა იმუშავა დაწესებულების მიერ წარდგენილ თვითშეფასებაზე და დოკუმენტაციაზე, რისი შესწავლის შედეგადაც, მოხდა დისკურსიის წარმართვა და რიგი საკითხების განხილვა, უშუალოდ ვიზიტის დროს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ თვითშეფასების შესწავლისას გამოიკვეთა ის გარემოება, რომ თვითშეფასების დოკუმენტი იყო საკმაოდ გადატვირთული და ადგილი ქონდა გადაფარვებს, აგრეთვე თვითშეფასებაში მოხსენიებული იყო გარკვეული მოვლენები და გარკვეული საკითხები, რომელიც შეეხებოდა უფრო მეტად წარსულს ვიდრე აწმყოს, და ეხებოდა მეტად გასული წლების შეფასებას და იყო ნაკლებად კავშირში ამ მიმდინარე შეფასებასთან. მისი თქმით, შეიმჩნეოდა ტენდენცია თითქოს ძველ თვითშეფასებაზე მოხდა ახალი ფაქტების დაშენება, აგრეთვე თვითშეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ქარველმა წევრებმა ახსენეს, რომ რომ გარკვეული განსხვავებები არებობდა ქართულ და ინგლისურ თვითშეფასებაში და ექსპერტთა ჯგუფი ძირითადად ეყრდნობოდა მუშაობისას ინგლისურენოვან თვითშეფასებას.

მიჰაი ბოროშის თქმით, ექსპერტთა ჯგუფი შეფასებისას იყო ერთსულოვანი. მან აღნიშნა, რომ რიგი საკითხების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ჯერ კიდევ მზად არ არის განახორციელოს ეს პროგრამა, რადგან იგი საჭიროებს გაუმჯობესებას და დახვეწას. ასევე მან ხაზი გაუსვა ქვეკლინიკურ საკითხებს, მისი თქმით ამ ნაწილშიც მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ბაზა ის მაინც საჭიროებს, გაუმჯობესებას.

მიჰაი ბოროშმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ექსპერტთა გჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები მაგრამ, ადამიანური რესურსების შეფასების კუთხით მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფმა, მაინც ვერ მიიღო საკმარისი ინფორმაცია, იმისთვის რათა სრულფასოვნად შეძლებოდა ამ კუთხით პროგრამის რესურსების შეფასება, მან გაუსხვა ხაზი იმას, რომ ვიზიტის დროს იყო გამოთხოვილი სია პერსონალისა, სადაც იქნებოდა ასახული პროგრამაში ჩართული პერსონალის მიმდინარე და სამომავლო დატვირთვა, სრული დატვირთვა პროგრამის ფარგლებში ე.წ. ეფ-თი-ეი (FTA), რომელიც იქნება სრული full time equivalent, ასეთი ტიპის ინფორმაცია მან ვერ მიიღო და შესამაბისად ამან ხელი შეუშალა ექსპერტთა ჯგუფს იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში მოეხდინა უშუალოდ ადამიანური რესურსების მდგრადობის კუთხით საბოლოო დასკვნის გამოტანა.

მიჰაი ბოროში აგრეთვე შეეხო კურუკულუმის რუკას და კურუკულუმის დაგეგმვას. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა გარკვეული არათანმიმდევრულობა და გარკვეული შეუსაბამობები. ჩანაფიქრი კურუკულუმში არის ის, რომ მოხდეს განვითარება სასწავლო მასალების მარტივიდან რთულისაკენ, ნორმალურიდან პათოლოგიურისაკენ და ასევე თქვათ ეს

არის ცოდნის თანმიმდევრული მიღების გზა და ექსპერტა ჯგუფის მოსაზრებით გარკვეულ შემთხვევებში იყო გარკვეული პრობლემები ამ კუთხით, რაც შეეხება კურიკულუმის რუკას იგი საჭიროებს დახვეწას და გაუმჯობესებას.

შეჯამების სახით, მიჰაი ბოროშმა თქვა, რომ 2020 წლის დასკვნის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ნამდვილად თვლის, რომ უნივერსიტეტს აქვს სერიოზული პროგნოზი განხორციელებული მთელი რიგრი საკითხების მიმართ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს პროგრესი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ეს პროგრამა განხორციელდეს და შეიძლება ითქვას, რომ კიდევ 1 წელია საჭირო იმისთვის, რომ განვითარების მსგავსი ტემპებით უნივერსიტეტი მზად იყოს განხორციელოს ეს პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ გამოთქვა სურვილი კითხვით მიემართა ექსპერტთა ჯგუფის ქართველი წევრებისთვის. ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება ინიციატივას რომ ქართული ენის სწავლება უნდა გაძლიერდეს თუმცა, რეკომენდაციის სახით ის, რომ 12 კრედიტი უნდა იყოს ამას ჯერჯერობით არ ავალდებულებს დარგობრივი მახასიათებელი. რამ განაპირობა ამ 12 კრედიტის ვალდებულება, და არა მაგალითად ყოფილიყო 10 ან 14? შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ახალი დარგობრივის გამოძახილი, რომელიც ჯერ არ არის დამტკიცებული თუ ასეა უბრალოდ იქნებ აგვიხსნან ექსპერტებმა, გარდა ამისა მან ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთი რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა საქართველოს მოქალაქეებისთვის, ჩარიცხვის პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შეუსაბამობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან და სთხოვა ექსპერტებს უფრო დაეკონკრეტებინათ რას გულისხმობდნენ აი ამ შემთხვევაში, და სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვასთან დაკავშირებითაც, ეთქვათ ორი სიტყვა.

ექსპერტთა ჯგუფის მიმართ ასევე შეკითხვა ქონდა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას, რომელმაც სთხოვა ექსპერტებს ორიოდ სიტყვით განემარტათ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების და ქვესტანდარტებს შორის როგორი ბმა იყო და საჭიროებდა თუ არა რამდენიმე რეკომენდაცია გადატანას სხვა ქვესტანდარტში.

ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიჰაი ბოროშმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ შეფასებისას გათვალისწინებული ყოფილიყო სტანდარტების ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობა, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში საკითხების პრობლემატიკის გამოვლენისას ძნელია იმისი თქმა რომელ კომპონენტთან რა საკითხი უნდა წამოიჭრას. მან, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ, უშუალოდ, დასკვნის პროექტის შემუშავების დროს ძალიან ბევრი მსგავსი საკითხი იყო შეცვლილი და ჩასწორებული. შესაძლებელია, გარკვეულწილად, დღემდე იქმნებოდეს მსგავსი შთაბეჭდილება, თუმცა ეს კვლავ განპირობებულია იმით, რომ სტანდარტები ერთმანეთს უკავშირდება და საჭიროა უფრო ურთიერთდაკავშირებული ანალიზი საკითხების გამოსავლენად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლეილა ახვლედიანმა ისაუბრა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებზე, და აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რაც ინსტიტუციამაც დაადასტურა ვიზიტის დროს. ასევე მან პასუხი გასცა შეკითხვას 12 კრედიტთან დაკავშირებით და ახსენა, რომ თვითონ პროგრამა არ იძლეოდა მეტი კრედიტის ჩასმის შესაძლებლობას. ხოლო რაც შეეხება კონტინგენტის განსაზღვრის წესს, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს საერთო კონტინგენტის დაგეგმვის წესი გააჩნია, თუმცა სამედიცინო პროგრამასთან დაკავშირებით მოხდა რეკომენდაციის გაცემა, რადგან ცალკე ჰქონდათ გამოტანილი პროგრამის შესავალშივე და ფორმულირება იწვევდა გარკვეულ გაურკვევლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან არ მოხდა ხაზგასმა უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებზე - რომ ხელმისაწვდომია შენობები, ობიექტები, პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი კლინიკური ინფრასტრუქტურა, ხელმძღვანელების

განზრახვაა შეიმუშაონ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. ავთანდილ გაგნიძემ მოკლედ მიმოიხილა რამდენიმე რეკომენდაცია და განმარტება გააკეთა, თუ რატომ არ ეთანხმებოდა მათ. მაგალითად მოიყვანა რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა უცხოელ დაწესებულებებთან ურთიერთობის გაღრმავებასა და კონტრაქტებს მოწვეულ პერსონალთან, ამასთან დაკავშირებით მან ახსენა, რომ ამ ეტაპზე სანამ უნივერსიტეტი ჯერ რეალურად სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს მათ აქვთ სერიოზული და კარგი პარტნიორული ურთიერთობები ხაზარის უნივერსიტეტთან. ხაზარის უნივერსიტეტიდან ოთხი წამყვანი პროფესორი მათთან მოწვეული პროფესორის სტატუსითაა, მათ შორის, რექტორიც. ავთანდილ გაგნიძის თქმით, ხაზარის უნივერსიტეტი არის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტი ჩვენს რეგიონში და არა მარტო ჩვენს რეგიონში და როდესაც უნივერსიტეტი მუშაობას დაიწყებს და რეალურად ამოქმედდება სხვა მსგავს უნივერსიტეტებთანაც ექნებათ მსგავსი პარტნიორული ურთიერთობა. მან, ასევე, ხაზი გაუსვა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც ისინი საზღვრავენ პერსონალის საჭირო რაოდენობას. მეთოდოლოგია ძალიან დეტალურია და მასში აღწერილია თითოეულ საგანში როგორ გამოითვლება საჭირო პედაგოგების რაოდენობა. ავთანდილ გაგნიძემ, ასევე, ყურადღება გაამახვილა ტრენინგების ჩატარების სიხშირეზე და ახსენა, რომ ბევრ ტრენინგს ატარებენ და, ასევე, მომავალშიც აქვთ დაგეგმილი ტრენინგების ჩატარება, მათ შორის, ოსკის გამოცდასთან დაკავშირებით.

პროგრამის კონსულტანტმა ნინო თაბაგარი-ბრეგვაძემ გამოთქვა სურვილი თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა. მისი აზრით, პროგრამის შეფასების დროს მოხდა ახალი დარგობრივი დოკუმენტით ხელმძღვანელობა, რაც ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია და არ არის დამტკიცებული, როგორც ოფიციალური დოკუმენტი. მან აგრეთვე კომენტარი გააკეთა Full-time equivalent-თან მიმართებით და განმარტა, რომ იგი შეიცავს აკადემიურ, სასწავლო და კვლევით ნაწილს და ძნელია განსაკუთრებით კვლევასთან მიმართებაში ამისი გაწერა. ასევე მას ჰქონდა შეკითხვა ცენტრთან, თუ რატომ არ მოხდა 2021 წლის დასკვნის გაზიარება ექსპერტთა ჯგუფთან. მან აგრეთვე ახსენა, რომ 2022 წლის თვითშეფასება გამომახილია 2020 წლის თვითშეფასებისა, რადგან თუ არ ისაუბრებდნენ იმაზე თუ რა მოხდა წარსულში, ვერ იქნებოდა შესაძლებელი ნათლად დაენახებინათ ექსპერტებისათვის ის პროგრესი, რაც გაიარა დაწესებულებამ ამ ხნის განმავლობაში. ასევე მან საჭიროდ მიიჩნია ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ დარგობრივი დოკუმენტის ჭრილში ქვესტანდარტი 2.4 მოიცავს პრაქტიკული სამეცნიერო კვლევითი შემოქმედებითი საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარებას.

ცენტრთან დასმულ შეკითხვას პასუხი გასცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლაშა მაჭარაშვილმა და აღნიშნა, რომ ეს დასკვნა არ არის საჯარო დოკუმენტი რადგან, მისი საბჭოზე გატანა არ მომხდარა. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი გაზიარება არ მოხდება და აღნიშნულიდან გამომდინარე ცენტრს არ აქვს უფლება ამ დოკუმენტის გაზიარების. ასევე მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ექსპერტებთან არ მომხდარა განახლებული დარგობრივი მახასიათებლის პროექტის გაზიარება, რადგან აღნიშნული დოკუმენტი ჯერ ძალაში შესული არ არის. აქედან გამომდინარე პროგრამის შეფასების დროს ექსპერტები შეფასებას ახორციელებდნენ, ამჟამად, მოქმედი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრმა, ეკა ეკალაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და თხოვა განემარტათ თუ, რამდენად შესაძლებელია ამ პროგრამის ისე გაუმჯობესება ადამიანური რესურსების მხრივ, რომ რომ მოხდეს შედეგის მიღწევად, რადგანაც დოკუმენტში ხაზგასმით წერია, რომ შეგედი იქნება მიღწეული. ეკა ეკალაძემ, ასევე, განმარტა, რომ 2020 წელს თავად იყო იმ საბჭოს წევრი, როდესაც ეს პროგრამა გავიდა და აღნიშნავს, რომ პროგრესი ნათელია. მან აგრეთვე აღნიშნა,

რომ გარკვეულწილად ითვალისწინებს დაწესებულების შეხედულებას პირველი სტანდარტის მიმართ და აღნიშნავს, რომ „აუცილებლად სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს ან მსგავსი ორგანოს შექმნა უნდა იყოს პრიორიტეტულ კვლევით თემაზე მუშაობის გაძლიერების მიზნით“ არის დაწესებულების გადასაწყვეტი და რჩევის სახე ამას ნამდვილად შეიძლება ჰქონდეს, თუმცა არა რეკომენდაციის. პარტნიორობა უცხოურ დაწესებულებებთან, კონტრაქტები მოწვეულ უცხოელ მასწავლებლებთან, მისი აზრით, რა თქმა უნდა ესეც არის ძალიან კარგი იმისთვის, რომ დაწესებულა განვითარდეს, მაგრამ ნებისმიერი დაწესებულების შემთხვევაში ეს შესაძლებელია რჩევად იყოს გაცემული.

ამ საკითხებთან დაკავშირებით პასუხი გასცა, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლეილა ახვლედიანმა და აღნიშნა, რომ რაც შეეხება ინტეგრაციას, პერსონალთან გასაუბრებიდან გამოვლინდა, რომ პერსონალს მეტ-ნაკლებად აღქმული აქვს ინტეგრაცია, თუმცა, მას, აუცილებლად, სჭირდება დამატებითი ტრენინგები და არაერთი. აუცილებელია პერსონალი დატრენინგდეს იმიტომ, რომ ერთია პროგრამის დაწერა და შეიძლება, რომ პროგრამა ვიღაცამ ძალიან კარგად დაგიწეროს, მაგრამ ამისი მერე განხორციელება საკმაოდ ძნელია. აუცილებელია პერსონალი დატრენინგდეს, რადგან თუ ინსტიტუცია მასიურად არ ჩაატარებს ტრენინგებს ან პროგრამის განხორციელების გენერალურ რეპეტიციას მაშინ, პროგრამის განხორციელება ინსტიტუციას გაუჭირდება. ამიტომ სასურველია, რომ ჩართული პერსონალი მაქსიმალურად ხვდებოდეს, რომელ ეტაპზე როდის უნდა შევიდეს სად უნდა ჩაერთოს, როგორ უნდა მოხდეს ეს ინტეგრაცია.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრმა, ეკა ეკალაძემ კიდევ ერთი კითხვით მიმართა ლეილა ახვლედიანს და სთხოვა განემარტა თუ რატომ გახდა აუცილებელი დაეკონკრეტებინათ, რომელ საგნებში იყო აუცილებელი ჩაესვათ ოსკის გამოცდა, რადგან არასად არ არის მითითებული არანაირი რეგულაცია, რომელ საგნებში უნდა იყოს და რა კონცენტრაციით.

ამ კითხვასთან დაკავშირებით ლეილა ახვლედიანმა განმარტა, რომ ის კლინიკური უნარები, რომელიც ამ ფუნდამენტურ მიმართულებებში, მედიცინაში უნდა იყოს ათვისებული სტუდენტის მიერ არ ჩანდა პროგრამაში არსად, არც ერთიანობაში და არც ცალ-ცალკე და ამიტომ გახდა საჭირო ამ ფორმულირებით ყოფილიყო გამოტანილი. დამატებით აღნიშნავს, რომ აუცილებელი კი არ არის, რომ კონკრეტულად მაგალითად ქირურგიაში იყოს ოსკი, არამედ ის უნარები, რომელიც უნდა იყოს მედიცინის ამ ფუნდამენტურ დარგებში, ამ უნარებზე გადის თუ არა სტუდენტი, თვალნათლივ პროგრამაში არ ჩანდა და ამიტომ გახდა საჭირო ცალ-ცალკე გამოტანა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის კონსულტანტმა ნინო თაბაგარი-ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ მისთვისაც გაუგებარი იყო, რა საჭირო იყო დარგობრივად იმისი განსაზღვრა, თუ რომელ საგნებში უნდა ყოფილიყო ოსკის გამოცდა, თუმცა ჩამონათვალს მაინც მიესალმებიან და არ ეწინააღმდეგებიან. აქვე იგი შეეხო, იმ ფაქტს, რომ ოსკში მოსამზადებლად არამარტო ბევრი ტრენინგია საჭირო (როგორც ეს დასკვნის პროექტშია ნახსენები), არამედ ოსკისთვის მოსამზადებლად საჭიროა ჯგუფის ფორმირება, მომზადება და ეს არის მუდმივი პროცესი. რასაკვირველია, თუ ოსკი აქვს დაწესებულებას, ეს ნიშნავს მუდმივ ტრენინგს, მუდმივად ახალი ქეისების მზადებას, მუდმივად შეიძლება არ იცვლება რაღაცის შესამოწმებელი სიები, თუმცა ყველა გამოცდას თავისი შესამოწმებელი სია ექნება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოწოდებული ქეისები შეიძლება იყოს მაგალითის სახით და შემდგომში განვითარების და დახვეწის გამო სხვა სურათი იყოს სახეზე. ესაბამისად, ამ ეტაპზე ყველაფრის მოწოდება უბრალოდ შეუძლებელია, აღნიშნავს ის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ავთანდილ გაგნიძემ, ასევე, გააკეთა კომენტარი და შეეხო, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მან აღნიშნა, რომ თვითშეფასების წარმოდგენილ დოკუმენტში

აღწერილი იყო, თუ რა გაკეთდა. რაც შეეხება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებთან მიმართებაში მოხდა მათი გადამოწმება, შეიცვალა პროგრამის შემოწმება, ჩატარდა გამოკითხვები, დაზუსტდა დოკუმენტების შინაარსი, მაგალითად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, განისაზღვრა ონლაინ გამოცდები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით ერთი მესამედით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობა თვითონ პერსონალის აკადემიური წევრი იყო 20 და გახდა 31. უნივერსიტეტში მოწვეულის სტატუსით იყო 57, ახლა არის 69, და თვითშეფასების წარმოდგენის შემდეგ, კიდევ უფრო მეტია. უნივერსიტეტში კომპიუტერების რაოდენობა გაიზარდა, გაიზარდა პრინტერების რაოდენობა, წიგნების რაოდენობა გაიზარდა, ასევე ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების რაოდენობაც გაიზარდა. ოსკის გამოცდების ცენტრის მოწყობა დაგეგმილი იყო და უკვე აქვთ. უნივერსიტეტის ალადაშვილის კლინიკაში ცალკე გაკეთდა ორსართულიანი ლაბორატორიული კორპუსი, უნივერსიტეტისათვის. უნივერსიტეტმა დადო ბევრი ახალი ხელშეკრულება სხვადასხვა კლინიკასთან, მათ შორის, ჯეო ჰოსპიტლების (Geo Hospitals) კლინიკების ქსელთან, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს შესაძლებლობების არეალს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ ლეილა ახვლედიანს სთხოვა განემარტა თუ რას გულისხმობდა ის მაშინ, როდესაც თქვა, რომ - ერთია პროგრამა დაგიწერონ და მეორეა განახორცილონ. მან თხოვა ექსპერტებს განემარტათ რასთან ჰქონდათ ადგილი - რომ აღნიშნული პროგრამა თანამშრომლობით და ერთობლივად არ არის დაწერილი, თუ, უბრალოდ, მოხსენების დროს სიტყვის მასალა იყო და არაკორექტულად წარმოჩინდა პროცესის დროს.

ამასთან დაკავშირებით ლეილა ახვლედიანმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის საბჭოზე სიტყვით გამოსვლას უფრო ელოდებოდა, ვიდრე ქალბატონი ნინოსი, რადგან ქალბატონი ნინო კონსულტანტია და სასურველი იქნებოდა უფრო მეტ კითხვაზე პროგრამის ხელმძღვანელს გაეცა პასუხი ვიდრე ქალბატონ ნინოს, თუმცა დაამატა, რომ მთლად ესე არ არის ნამდვილად, რომ ვიღაცამ დაუწერა ინსტიტუციას პროგრამა და მიუტანა. მან აღნიშნა, რომ ავთანდილ გაგნიძე მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკოსია საკმაოდ კარგად ჩახედულია პროგრამაში და როგორც ახსოვს შეფასების სისტემაც მთლიანად ავთანდილ გაგნიძის გაკეთებულია, მაგრამ, რასაკვირველია, პროგრამის ხელმძღვანელის მეტი ჩართულობა ბევრად უმჯობესი იქნებოდა თუნდაც ინტერვიუების დროსაც.

ამასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი წილოსანმა განმარტა, რომ პროგრამა შემუშავებულია და დაწერილია გუნდური მუშაობის საფუძველზე. მან განაცხადა, რომ მზადაა უპასუხოს ნებისმიერ შეკითხვას, თუმცა საბჭოს მსვლელობის დროს ამჯობინებს, რომ პროგრამის კონსულტანტს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს გაეცათ პასუხები დოკუმენტების შესაბამისობაზე ეროვნულ დოკუმენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:30

დასრულების დრო: 18:45

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დაკნინაში არსებული შეფასება, კერძოდ, რამდენიმე რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში. ასევე, 1.1 და 1.2 ქვესტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან“. 2.1 ქვესტანდარტი ნაცვლად, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან“, 2.2 და 2.4 ქვესტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება და შესაბამისად განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 4.1 და 4.2

ქვესტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 4.3 ქვესტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება და შესაბამისად განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 5.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 5.2 ქვესტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან“, 5.3 ქვესტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება და შესაბამისად განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 2 წლით თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე 2 წელში მონიტორინგის განხორციელების უფლებით.

განესაზღვრა შემდეგი რეკონენადაციები და რჩევები:

- უსდ-მ უნდა გადახედოს მოდულების წინაპირობებს და ლოგიკურად დააღაგოს ისინი. მოდულები სასწავლო გეგმის კონკრეტულ სფეროებში უნდა იყოს უფრო სტრუქტურირებული და საგნების თანმიმდევრობა არ უნდა არღვევდეს ერთმანეთზე აგების პრინციპს.
- რეკომენდებულია სასწავლო გეგმის გადახედვა კურსების აკადემიურპროფესიული შინაარსის ურთიერთკავშირის საჩვენებლად, შესაძლო ხარვეზების, ზედმეტობის, გადაფარვების იდენტიფიცირებისთვის/აღმოფხვრისთვის და პროგრამის საერთო თანმიმდევრულობის გასაუმჯობესებლად.
- კურსის/მოდულის შეფასების მეთოდები უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგთან დაკავშირებით და მის მიხედვით.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სილაბუსში მითითებული უნარების ათვისების

მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყოს კურსის/მოდულის შინაარსით და შეფასების მეთოდებით.

- კურსების/მოდულების უმრავლესობის სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს და შეფასდეს, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
- OSCE-ს ტესტების საკონტროლო სიები უნდა შეესაბამებოდეს კურსის მასალას.
- სასწავლო პროგრამას უნდა ჰქონდეს კარგად განსაზღვრული ყოვლისმომცველი კვლევის კონცეფცია, სადაც განსაზღვრული იქნება სამეცნიერო/გამოყენებითი კვლევითი მიზნები (დამოუკიდებლად ან როგორც თანამშრომლობითი კვლევითი ცენტრის ან ინტერდისციპლინარული პროგრამის ნაწილი), რაც ასევე აისახება დაწესებულების კვლევის განვითარების გეგმაში. საკმარისი ფინანსური, ლოგისტიკური და ადამიანური რესურსები უნდა იყოს გამოყოფილი ნებისმიერი დაგეგმილი/შემოთავაზებული კვლევის მიზნების მისაღწევად. მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში პერსონალის ჩართულობა, ეს გათვალისწინებული უნდა იქნას პერსონალის შეფასებაში და წახალისების კრიტერიუმების შემუშავების მხრივაც.
- რეკომენდირებულია ბაზისურ დისციპლინებში ლაბორატორიული სწავლებისა და სწავლის მეთოდის უზრუნველყოფა სწავლის შედეგების მისაღწევად.
- სილაბუსები უნდა მოიცავდეს გამჭვირვალე, ადვილად გასაგებ, კარგად განსაზღვრულ ინტეგრირებულ შეფასების სისტემას.
- რეკომენდებულია, ყველა ინტეგრირებულ მოდულში ჩატარდეს ინტეგრირებული საბოლოო გამოცდები და ის მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სილაბუსებში და პროგრამაში.
- უსდ-მ მკაფიოდ განსაზღვროს კლინიკური მენტორების/ხელმძღვანელების როლი, მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს.
- OSCE-ს გამოცდის უკეთ განხორციელებისთვის, საჭიროა აკადემიური პერსონალის გადამზადება.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს შიდა მექანიზმები ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის შეფასებისთვის, რაც გულისხმობს კლინიკური სწავლების ბაზებსაც. რჩევები:
 - უნდა გაიზარდოს პარტნიორობა უცხოურ დაწესებულებებთან, კონტრაქტები მოწვეულ მასწავლებლებთან (პროფესორებთან, ლექტორებთან), რომლებიც ხელს უწყობენ დამატებით გამოცდილებას ელექტრონული სწავლების, ვებინარების ან ადგილზე სწავლების გზით
 - ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს პოლიტიკა, რომელიც ეხება ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას საგანმანათლებლო პროგრამაში (ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლებისთვის, ონლაინ ლექციები, ტელემედიცინა).
 - სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაიწეროს უფრო ნათლად
 - სასურველია პროგრამაში გაიზარდოს ქართული ენის კრედიტები
- კურსის/მოდულის სილაბუსების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს უნდა ჰქონდეს იდენტური შინაარსი.
- უნარების ცენტრი უნდა იქნეს გამოყენებული ამოსავალ წერტილად პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და წონის გაზრდაში, ამიტომ მიზანშეწონილია განვითარების მოკლევადიანი სტრატეგიების შემუშავება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური უნარების განვითარების პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს. უნდა გაძლიერდეს როგორც ინსტრუმენტული ელემენტები (სტუდენტების განსაზღვრული რაოდენობის პროპორციულად), ასევე საგნობრივი სფეროები, რომლებიც შეიძლება მათთან იყოს დაკავშირებული.

- პროცედურული უნარები (მაგ. ინექციები, ნაკერები, სახვევები, სიცოცხლის ძირითადი მხარდაჭერა, BLS) სტანდარტიზებული სიხშირით უნდა იყოს შეფასებული: კომპეტენცია და გადამზადების საჭიროება უნდა გადაფასდეს დროის სათანადო ინტერვალებით.
- OSCE-ის გამოცდა უნდა ჩატარდეს გინეკოლოგიაში, პედიატრიაში, ზოგად ქირურგიაში და შინაგან მედიცინაში.
- უნდა შემუშავდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია მათი სრული განაკვეთის ეკვივალენტის (FTE) დატვირთვისთან და სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობასთან მიმართებით. უსდ-მ უნდა განსაზღვროს სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობები, რისი მიღებაც შეუძლია წინასწარ განსაზღვრული პერსონალის/სტუდენტის თანაფარდობის (როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისთვის) შესაბამისად. თითოეულ მოდულს უნდა ჰქონდეს ტუტორები წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა (პროფესორები ან ასოცირებული პროფესორები და აფილირებული თანამშრომლები) მათი სრული განაკვეთის ეკვივალენტით (FTE) გამოხატულ დატვირთვისთან ერთად. ცნობილი უნდა იყოს, რომ აკადემიური პერსონალის თანამდებობები არ მოიცავს სასწავლო წლის განმავლობაში ნაჩვენებ (სრული განაკვეთის) დატვირთვაზე მეტს, განურჩევლად საგანმანათლებლო დაწესებულებისა, სადაც ისინი ახორციელებენ საქმიანობას.
- აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს დადასტურებული გამოცდილება კვლევის შედეგების შესახებ იმავე თემებზე, რომლებსაც ეხება მათი სასწავლო საქმიანობა.
- პერსონალის მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობის რიცხოვრივი პარამეტრები უნდა იყოს შეჯამებული - ეს მეცნიერო-მეტრიული მონაცემები იქნება საწყისი წერტილი და ინდიკატორი შემდგომი საქმიანობის შეფასებისთვის და შემდგომ ეტაპზე პროგრამის განხორციელების და განვითარების შედარებისთვის.
- განხორციელდეს უფრო მეტი ტრენინგი PBL და CBL მეთოდოლოგიაში, რათა ყველა ლექტორმა გაიგოს არა მხოლოდ პედაგოგია, რომელიც ემყარება მეთოდს, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოახდინოს პედაგოგმა მისი გამოყენება.
- შემთხვევების ბანკის შექმნა PBL/CBL-სთვის კარგი ინვესტიცია იქნება სამომავლო მდგრადობისთვის, რადგან ის გაზრდის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი შემთხვევების მასშტაბს, მოცულობასა და ხარისხს.
- სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ხელს უწყობს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას; მიუხედავად ამისა, რეკომენდებული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები (ელექტრონული ვერსიების გარდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს თანამედროვე და უახლესი გამოცემები ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში შესაბამისი რაოდენობით.
- საჭიროა საბაზისო მეცნიერებათა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლაბორატორიების აღჭურვა და გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგებისა და უნარ-ჩვევების მიღწევა ამ მიმართულებებით.
- პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭიროა დამატებითი გარე, დამოუკიდებელი შეფასების და მიუკერძოებელი შეფასების მექანიზმები.
- დამატებითი გაუმჯობესების მიზნით, უნდა ჩამოყალიბდეს ფოკუს ჯგუფი დამსაქმებლების მონაწილეობით, ხოლო მათი მოსაზრებები და კომენტარები განხილულ იქნეს პროგრამის შემუშავების შემდეგ ეტაპზე.
- კლინიკურ განათლებაში სასურველია მთავარი სასწავლო ბაზების (კლინიკურისა ავადმყოფოების) რეგულარული შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაბამისი და ხარისხიანია პრაქტიკული სასწავლო პროგრამისთვის. რაც მთავარია, კლინიკურ მასწავლებლებს უნდა შეეძლოთ ინგლისურის, როგორც სამუშაო ენის ცოდნის დემონსტრირება, დამაკმაყოფილებელ დონეზე.
- პროგრამის შემუშავება და მდგრადობა უნდა ეფუძნებოდეს ბაზრის არსებულ მოთხოვნებს, ადგილობრივი და გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით. ეს მოითხოვს ფაქტობრივი რიცხოვრივი ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინებას საქართველოში და საზღვარგარეთის მიზნობრივ ქვეყნებშიც.

- უნდა გაძლიერდეს ობიექტური ურთიერთობები შრომის ბაზართან და აკადემიურ სამედიცინო საზოგადოებასთან, გაიზარდოს თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორებთან სამუშაო მოთხოვნასთან პროგრამის დაკავშირების მიზნით. დაწესებულებამ უნდა იცოდეს ის ფაქტი, რომ საჭიროა კარგად განსაზღვრულ და უფრო დეტალურ სამეცნიერო სტრატეგიაზე მუშაობა.
- უსდ-მ უნდა იპოვოს სწორი ბალანსი ექიმების ადგილობრივ საჭიროებებსა და შრომის საერთაშორისო ბაზრის განვითარებას შორის. ეს თანაფარდობა უნდა აისახოს პროგრამის მიღების სისტემაში.
- უსდ-მ უნდა იპოვოს სანდო და აქტიური ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორები, კოოპერატიული მოკავშირეები პროგრამისა და განათლების მომავალი პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ-მ უნდა განახორციელოს მოქმედი, აქტიური პარტნიორობა ადგილობრივ და საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებთან. უნდა შეიქმნას პროტოკოლები პარტნიორი დაწესებულებების სწავლების ეფექტური მეთოდების გადმოღებისთვის. საჭიროა ქართულ და საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობით სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.
- სასწავლო პროგრამის ყოველი წლისთვის შეიძლება გათვალისწინებული იყოს ძლიერი და სტრუქტურირებული მხარდაჭერის სისტემა, კურსის კოორდინატორით - მრჩეველით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს პირდაპირი აკადემიური დახმარება და კარიერული კონსულტაცია პრეკლინიკური კურსებისა და კლინიკაში სტაჟირების პერიოდში.
- დიაგრამა, რომელიც აჩვენებს სასწავლო გეგმის სპირალურ მახასიათებლებს, სასარგებლო იქნება კლინიკურ და საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებს შორის ინტეგრაციული კავშირების დასადგენად.
- ECTS ზოგადად გამოიხატება მთელი რიცხვებით (იხ. ECTS-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო, 2015). სამედიცინო ფიზიოლოგია 1, ჰისტოლოგია 2 (და სხვა საგნები, მოგვიანებით) ახლა არის 0.5-0.5 ECTS. თუ შესაძლებელია, უნდა შეიცვალოს არსებული პრაქტიკა, რათა გაადვილდეს კრედიტის ტრანსფერი. პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების რამდენიმე ადეკვატურ მეთოდს და შესაბამის შეფასების ტექნიკას, როგორცაა OSCE და სიმულაციური პაციენტები სტუდენტების პრეკლინიკური აკადემიური მოსწრების შესაფასებლად, მაგრამ კლინიკურ პირობებში პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უკეთ უნდა იყოს აღწერილი.
- უსდ-მ განიხილოს დაწესებულების მონაცემთა დაცვის დადგენილი პოლიტიკის შესაბამისობა მონაცემთა დაცვის ზოგად ევროპულ რეგულაციასთან (GDPR, EU 2016).
- უსდ-მ შექმნას კურიკულუმის დანართი (სასწავლო გეგმა), რომელიც შეიცავს ინფორმაციას წინაპირობებზე ან დაემატოს სვეტი არსებულ კურიკულუმში (სასწავლო გეგმაში) თითოეული მოდულისა და კურსის წინაპირობების ჩათვლით.
- სასურველია შესაბამისი პროფესიული და ექსპერტული დახმარების მოძიება რათა შემოწმდეს და განისაზღვროს პროგრამის სტრუქტურული კომპონენტები (მოდულები და კურსები), სწავლის შედეგების ჩათვლით.
- საჭიროა კლინიკური ცვლებისა და ძირითადი ინტეგრირებული საგნების განრიგის უკეთესი ორგანიზება.
- OSCE-ს ცენტრი უნდა განახლდეს ისე, რომ დააკმაყოფილოს მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა.
- მიზანშეწონილია გრძელვადიანი, სტრატეგიული დაგეგმვა და ინვესტიციების ჩადება უფრო რთულ სიმულაციებში (მაგ. რეალობასთან მიახლოებული სცენარები პაციენტთა კომპიუტერიზებულ სიმულატორებზე, როგორცაა ტრავმისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების მანეკენები, მშობიარობის სიმულატორები და ა.შ.) - მაღალი სიზუსტის სიმულაციური პროტოკოლები შეიძლება შეტანილ იქნეს მოგვიანებით, მაგისტრატურის კურიკულუმში.

- საბაზისო მეცნიერებებში რეკომენდებულია OSPE-ს გამოცდის გამოყენება, DOPS და 360 გრადუსიანი შეფასება იქნება ყველაზე შესაფერისი კლინიკური მოდულებისთვის.
- სასურველია სასწავლო პერსონალისთვის მიზნობრივი სასწავლო კურსი, რათა უკეთ გაიაზრონ საქმიანობის შეფასების პრინციპები.
- უსდ-მ დაგეგმოს შიდა კოლეგიალური განხილვისა და მასწავლებლის სისტემატური შეფასების დანერგვა, მაგ. როდესაც კოლეგები ესწრებიან ერთმანეთის ლექციებს, ვორქშოფებსა და სემინარებს.
- ბევრი საინტერესო რჩევა იყო წარმოდგენილი წინა კვლევის დასკვნაში, რომლებიც გასათვალისწინებელია პროგრამის შემუშავებისას.
- ბიუჯეტის მუხლების დაგეგმვისას უნდა იყოს რიცხობრივად უფრო მკაფიოდ ასახული უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური ვალდებულება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერისთვის კვლევებში და ასევე სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაში.
- საჭიროა რესურსების გაზრდა უნივერსიტეტის მდგრადი ფუნქციონირებისთვის შესაფერისი პირობების უზრუნველსაყოფად. უსდ-მ ჩადოს ინვესტიცია უნარების წარმატებული ტრენინგის ინსტრუმენტებში, გაზარდოს ინვესტიციები ახალ სადემონსტრაციო ტექნოლოგიებში, ახალ კამპუსში.
- უნდა შეფასდეს გლობალური რეცესიის და მონეტარული ინფლაციის (სტაგფლაციის) მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედება პროგრამაზე (მოკლე ვადით: 2023) და ბიუჯეტი შესაძლოა, შესაბამისად, გადაიხედოს, უფრო მოკლე (ნახევარწლიანი) ფინანსური ფაზებით.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტური აქტივობების პერსონალიზებული ციფრული ელექტრონული პლატფორმის ეფექტური გამოყენება (რომელიც შექმნილია უნივერსიტეტში არა მხოლოდ დოკუმენტების გაზიარების, არამედ დოკუმენტების მართვისთვისაც)."

2. მეორე საკითხი: შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	არაუმეტეს 60 ECTS-ის კრედიტი
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ., #82, თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა მაჭარაშვილმა, აღნიშნა, რომ ვიზიტმა პოზიტიურ და კოლეგიალურ გარემოში ჩაიარა. მისი თქმით, შეფასება საკმაოდ პოზიტიურია, მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების უმრავლესობა დაწესებულებამ გაიზიარა.

ნანა მაჭარაშვილმა, ასევე, ისაუბრა გაცემული რეკომენდაციების შესახებ. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა მესამე საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამის მიზნების უფრო რელევანტურად გაწერას. ამ შემთხვევაში მათი აქცენტი იყო, რომ პროპორციულად ყველა მიზანში იკითხებოდეს, უშუალოდ, საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადი, რადგან ჩაითვალა, რომ ნაწილი მიზნებისა მაინც უფრო პრაქტიკოსი-ანალიტიკოსების მომზადებაზე იყო ორიენტირებული და ამას დაწესებულება დაეთანხმა. ასევე, რეკომენდირებული იყო სწავლის შედეგების რუკაში დაზუსტება, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის ავტონომიურობის მიღწევადობის კუთხით დაგეგმილი შედეგების უფრო რელევანტურობის, რაც გაწერეს, მისი თქმით დაწესებულება ამ ნაწილის არ დაეთანხმა, . აქედან გამომდინარე იგი განმარტავს, რომ ის ნაწილი, რომელიც, უშუალოდ, კონკრეტული შედეგების მიღწევას ითვალისწინებს, და ეს შედეგები არის კვლევითი ანალიტიკური სტრატეგიულ-დოკუმენტებზე მუშაობა, მათ შორის, ისეთი

კვლევითი პროდუქტის დადება, რომელიც, უშუალოდ, ციფრული მმართველობის ლოგიკით საკმაოდ დეფიციტურია და ეს გახლავთ ამ პროგრამის უნიკალური მხარე, რომ ამ მხრივ ცოდნის დეფიციტის შევსებაზეა ორიენტირებული კონკრეტული შესაბამისი სტანდარტების გაწერით დოკუმენტაციაზე მუშაობის გამოცდილების დადასტურება უბრალოდ. მიტომაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ჩათვალეს, რომ, უშუალოდ, სწავლის პროცესში ამ შედეგების გაზომვის შესაძლებლობა უფრო მეტ გამოკვეთას საჭიროებს. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური წერის უფრო სამეცნიერო წერის ლოგიკით გაცნობას და, ამავდროულად, სამეცნიერო პუბლიკაციაზე და მუშაობის გამოცდილების კუთხით სავალდებულო კურსის სახით შემოთავაზებას. ნანა მაჭარაშვილი აღნიშნავს, რომ უფრო მეტად ეს რეკომენდაციაა, ისეთ საგანთან მიმართებაშია, რომელიც, უშუალოდ, კვლევის მენეჯმენტზეა ორიენტირებული, რადგან სადოქტორო პროგრამაა. ერთ-ერთი რეკომენდაცია, ასევე, ეხებოდა პროგრამის გადახედვას სადოქტორო სემინარის მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით, რადგანაც დღევანდელი პრერსპექტივიდან ის უფრო კოლოკვიუმის შთაბეჭდილებას ტოვებდა და, უშუალოდ, სადისერტაციო მუშაობას ეხებოდა. ამიტომ ჩათვალა უფრო რელევანტურად რეკომენდაციის საფუძველზე, რომ სემინარის სახით ჩამოყალიბებულიყო ეს აქტივობა ან თუ არ შეიცვლებოდა ამ შემთხვევაში სადოქტორო სემინარის მიზანი და დანიშნულება მაშინ კოლოკვიუმის სახით ყოფილიყო ფორმულირებული, რასაც უნივერსიტეტიც დაეხმარება.

ნანა მაჭარაშვილმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია, უშუალოდ, ეხება საჯარო სექტორში ციფრული მართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხების უახლოესი კვლევის შედეგებისა და დარგის თანამედროვე მიღწევების ადეკვატურად და რელევანტურად წარმოდგენას. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა გარკვეულწილად ნაკლებობა, უშუალოდ, საჯარო მმართველობის მიმართულებით იმიტომ, რომ რიგ კურსებში და ასეთი კურსებია კვლევის მეთოდები, რომელიც უფრო ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, ციფრული ეკონომიკა, მენეჯმენტი და ლიდერობა. აი ამ კურსებში უფრო მეტად საჭიროა საჯარო მმართველობისთვის რელევანტური უახლოესი კვლევების მეტად ინტეგრირება. ამ მხრივ, ექსპერტთა ჯგუფმა თავად უნივერსიტეტს ურჩია რიგი წყაროების დამატება და ამაზეც თანხმობა იყო უნივერსიტეტის მხრიდან. რეკომენდაციის ერთი ნაწილი, ასევე, ეხებოდა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის სადისერტაციო დოკუმენტაციაში ცალკე გამოყოფას და ცალკე დოკუმენტის სახით მართვას იმიტომ, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს, უნივერსიტეტს მსგავსი ტიპის დოკუმენტი აუცილებლად დასჭირდება. აქაც სრული თანხმობაა და ამ შემთხვევაშიც უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციას. ნანა მაჭარაშვილმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ წინა აკრედიტაციის დროს საბჭოს მხრიდან გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა გათვალისწინებულია და უნივერსიტეტს ეს თვითშეფასების დოკუმენტშიც საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი. აღნიშნული უშუალოდ ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა. კვალიფიციური კადრები შეივსო. უნივერსიტეტმა მოახდინა შესაბამისი მიმართულების რელევანტური კადრების დამატება, მაგრამ ისევ ჩანს გარკვეულწილად დეფიციტი. ამავდროულად გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტს გააჩნია საკმაოდ უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან აქტიური კომუნიკაციის კარგი გამოცდილება და, შესაბამისად, არის საკმაოდ დეტალური და აქტიური კავშირების მეტად გამყარების შესაძლებლობა, ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, ჩათვალა რეკომენდაციის ნაწილში, რომ გაძლიერდეს საჯარო მმართველობის მიმართულებით კადრები და, ამავე დროს, სადოქტორო პროგრამაზე პირობებში დოქტორანტებს თანახელმძღვანელობის პირობებში ჰქონდეთ უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან თანახელმძღვანელობთან მუშაობის შესაძლებლობა. ნანა მაჭარაშვილმა კვლავ აღნიშნა, რომ თითქმის ორი მესამედი მათი რეკომენდაციებისა უკვე გათვალისწინებულია, რადგან უნივერსიტეტმა ნაწილობრივ შესრულების დადასტურება წარმოადგინა, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, პოსტ-ფაქტუმ მოხდა, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა მაინც დატოვა რეკომენდაციები უცვლელი. აგრეთვე

მან ხაზი გაუსვა, რომ გამოცდილება, რაც ერთი წლის წინ დადასტურდა, უშუალოდ, ამ პროგრამასთან მიმართებაში და რეკომენდაცია, რომელიც, უშუალოდ, საჯარო მმართველობას ეხებოდა, გათვალისწინებულია. ის აღნიშნავს, რომ რაკურსი კვლევითი პერსპექტივით ამ პროგრამის პირობებში შეზღუდული იქნება, ვიდრე სხვა პროგრამის პირობებში, ამასთან დაკავშირებით ის ამბობს, რომ საჯარო მმართველობის დოქტორები იქნებიან, უშუალოდ, ციფრული მმართველობის, ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით საჯარო სექტორის პერსპექტივით, მაგრამ ეს არ არის ნაკლი, გარკვეულწილად ფოკუსირებული მიმართულებით მართავს სადოქტორო პროგრამას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა აუცილებლობა და ეს უნივერსიტეტმაც გაიზიარა საჯარო მმართველობის მიმართულებით. უახლოესი კვლევები, ინდექსაციის ფორმები და ა.შ უფრო მეტად უფრო მომზადებული უნდა შეხვდეს თავად პროგრამა იმ ადამიანებს, დოქტორანტებს, რომლებსაც მიიღებს მომავალში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა თეა მჭედლოურმა, აღნიშნა, რომ იშვიათად ხვდება ხოლმე სადოქტორო პროგრამაში საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა და ამ პროგრამაში არის ეს საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა, რაც, რა თქმა უნდა, დადებითად მოქმედებს პროგრამაზე, თუმცა მას გაუჩნდა რამდენიმე შეკითხვა ექსპერტებთან. სემინართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს უწერია, რომ რეკომენდირებულია სადისერტაციო პროგრამის სტრუქტურაში გადაიხედოს სადოქტორო სემინარის მიზანი და სტატუსი და ასე შემდეგ. წერია, რომ იდენტიფიცირდეს როგორც კოლოქვიუმი. თეა მჭედლოურმა განაცხადა, რომ გაეცნო დებულებას, პროგრამასაც. პროგრამაში დაწესებულებას გარკვევით უწერია, რომ სადოქტორო სემინარი არის - სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დოქტორანტმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს კვლევის სადოქტორო სემინარის, კვლევისასთან დაკავშირებით უნდა იმუშაოს, წარადგინოს პრეზენტაცია და ა.შ. ეს ყველაფერი სადოქტორო სემინარი არის კვლევის კომპონენტი. პროგრამაშიც გამოყოფილი აქვთ კვლევითი კომპონენტი, ცალკე სადისერტაციო ნაშრომი, სადაც გვერდზე წერია, რომ სადისერტაციო ნაშრომში, ნაშრომის დაცვაში სამეცნიერო კვლევით კომპონენტში შედის სამეცნიერო კვლევითი პროექტიც, სადოქტორო სემინარიც და, ასევე, წერია სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება თავისთავად. ასევე დებულებაში უწერიათ სადოქტორო სემინარი ფრჩხილებში კვლევითი ანუ რეალურად ეს არის კვლევითი კომპონენტი. თეა მჭედლოურმა, ასევე, აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაში ვკითხულობთ, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს სადოქტორო სემინარი, რადგან სემინარია და, ძირითადად, სასწავლო კომპონენტში შეიძლება მოიაზრებოდეს, ამიტომაც ჯობს, რომ კოლოქვიუმი ერქვას. ამას თავადაც ეთანხმება, იმიტომ, რომ კოლოქვიუმი როდესაც ჰქვია, რა თქმა უნდა, უფრო მოიაზრება, რომ ეს კვლევითი კომპონენტია. თუმცა ეს თავისი შინაარსით არის მართლაც კვლევითი კომპონენტი. თეა მჭედლოურმა აღნიშნა, რომ შეისწავლა სილაბუსები და არ აქვთ სილაბუსები, სასწავლო კომპონენტში არ გადის. მისი თქმით, თუ ეს ასეა და ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს არის სამეცნიერო კომპონენტი, რაც რეალურად მათი დოკუმენტაციით დასტურდება, მხოლოდ სახელწოდების ცვლილებაშია პრობლემა და თვლიან, რომ კოლოქვიუმი უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ ერქვას ამ კურსს, რომელიც კურსიც არ არის. შესაბამისად, ხომ არ ფიქრობს ექსპერტთა ჯგუფი, რომ სასურველი იქნებოდა, ეს რჩევა ყოფილიყო და არა რეკომენდაცია. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი შეკითხვა დასვა თეა მჭედლოურმა, რომელიც ეხებოდა რეკომენდაციას სასწავლო კურსებთან დაკავშირებით - სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სახით იქნას იდენტიფიცირებული, რათა ხელი შეუწყოს ამ სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობის გამოცდილებას. ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თეა მჭედლოურმა აღნიშნა, რომ გაეცნო არგუმენტირებულ პოზიციას და დებულებას, სადაც დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი, რომ მათ ისინი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას უდგენენ და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან და სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სთავაზობენ. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელი ეხმარება, რა თქმა უნდა, სამეცნიერო პუბლიკაციების

მომზადებაში. გარდა სადოქტორო ნაშრომის მომზადების ნაწილში, ორივე კომპონენტში: სემინარშიც და კვლევით კომპონენტშიც, მოიაზრება სწორედამ ამ სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობა, დახმარება და გამოქვეყნება. თეა მჭედლურის აზრით, თუ ეს ასეა მაშინ ასეთ შემთხვევაში ესეც შესაძლებელია, რომ ალბათ რჩევა იყოს და არა სავალდებულო მოთხოვნა. ასევე კიდევ ერთი კითხვა დასვა თეა მჭედლურმა, რომელიც ეხებოდა 2-4 სტანდარტს - რეკომენდირებულია, რომ სადისერტაციო დოკუმენტაციაში ეს დოქტორანტის დებულებაში დეტალურად გაწერილი იყოს. მისი აზრით, დებულებაში იმაზე მეტი წერია ვიდრე შეიძლება იყოს. აგრეთვე გაწერილია დებულებაში, სტატია როგორ უნდა მოამზადოს სტუდენტმა, თეა მჭედლურის აზრით, ამისი ფორმულირება შეიძლება არ წარმოადგენდეს აუცილებლობას.

კითხვა ჰქონდა ასევე, საბჭოს თავჯდომარეს, გოდერძე ბუჩაშვილს - ექსპერტებმა რამდენად სიღრმისეულად შეაფასეს ამ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, მათი ბოლოდროინდელი სამეცნიერო პუბლიკაციები, მათი ხარისხი და მათი ინტერნაციონალიზაციის, კვლევების ინტერნაციონალიზაციის ხარისხი.

კითხვა დასვა, ასევე, საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ და ექსპერტებს მიმართა კითხვით, ამჟამად პროგრამაში არის თუ არა საკმარისი რაოდენობის საჯარო მმართველობის რაოდენობის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რამდენად არის პროგრამა მზად იმისათვის, რომ ამოქმედდეს და დაიწყოს მუშაობა, რადგან ექსპერტთა ჯგუფი წერს, რომ გაიზარდოს პერსონალი, მაშინ ამ ფორმულირების შემთხვევაში რამდენად რეკომენდაციის სახისაა ის?

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ, ასევე, კითხვით მიმართა როგორც ექსპერტებს, ისე დაწესებულებას. მან აღნიშნა რომ პროგრამის დასახელება ერთგვარად მარკეტინგული მხარეც არის, აქედან გამომდინარე რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის ხსენება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ნანა მაჭარაშვილმა სემინართან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციაც სწორედ იმის გამო გაიცა, რომ სემინარი იმ სახით რა სახითაც არის წარმოდგენილი ნამდვილად კვლევითი კომპონენტის ნაწილია, მაგრამ ქართულ გარემოში დამკვიდრებული ტერმინი სემინარი უფრო მეტად ასოცირდება ამერიკული მოდელით გაკეთებულ პერსპექტივასთან. ვინაიდან სემინარის პირობებში თემატიკა არ ცდებოდა სადისერტაციო ნაშრომს, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა ადეკვატურად, რომ პირველი შევიდეს მაშინ და კოლოკვიუმის სახით იყოს იდენტიფიცირებული და თუ ნამდვილად სემინარის სახით არის წარმოდგენილი მაშინ უკვე იცვლება პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კომპონენტად გადმოდის. ექსპერტთა ჯგუფმა ეს ღიად დატოვა, შესაბამისად, ორივე ვერსია შესაძლებელია, რომ განვითარდეს, თუმცა ნანა მაჭარაშვილის აზრით, რჩევის სახით მაინც არ მოიაზრებდა, რადგან პირველი სტრუქტურის თემაა და მეორე შედეგების უზრუნველყოფაც სწორედ ამ ლოგიკაზეა ორიენტირებული და ამიტომ არ ჩაითვალა ეს საჭიროდ, რომ რჩევის სახით ყოფილიყო იდენტიფიცირებული.

რაც შეეხება ინსტრუქციების ცალკე გაწერას, ამასთან დაკავშირებით ნანა მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ ნებისმიერ დოქტორანტს განსაკუთრებით ქართულ გარემოში, როცა არ ესმის თუ რა არის სადისერტაციო ნაშრომი და ბევრი დოქტორანტი მოდის და, უბრალოდ, პოლიტიკის დოკუმენტი წარმოუდგენია და ხშირ შემთხვევაში საჭიროებს ძალიან დეტალურ განმარტებას. ამ მოთხოვნების წინაშე აყენებს უნივერსიტეტი მათ, კერძოდ, თუ რითი უნდა იხელმძღვანელონ, როგორ უნდა იმუშაონ და თუ გავითვალისწინებთ დასავლურ საუკეთესო პრაქტიკას საჭიროა დოკუმენტაცია და ამის მართვა. ექსპერტთა ჯგუფმა ამის საჭიროება დაინახა და ესეც გარანტორია იმის, რომ შედეგები იყოს უზრუნველყოფილი. ამან განაპირობა არა რჩევის, არამედ რეკომენდაციის სახით კონკრეტულად ამ დოკუმენტზე მუშაობის აუცილებლობა. რაც შეეხება კითხვებს კვალიფიკაციასთან და პუბლიკაციებთან დაკავშირებით, მან ასევე აღნიშნა, რომ პუბლიკაციების ნაწილში ექსპერტთა ჯგუფმა გამორიცხა პუბლიკაციების ის კატეგორია, რომელიც მიიჩნეის არასამეცნიეროდ და ამაზე ხაზგასმით იყო ნახსენები დასკვნაშიც. მისი თქმით, იყო პუბლიკაციების ნაწილი, რაოდენობრივადც გადათვლილი ისეთ პუბლიკაციებში, რომელიც სამეცნიერო პროდუქტიულობის ნაწილში

გადადიოდა, ექსპერტთა ჯგუფმა ამაზე არ გაამახვილა ყურადღება. ნანა მაჭარაშვილის აზრით, ამის მიუხედავად მაინც შეიძლება ჩაითვალოს, რომ პუბლიკაციები და კვალიფიკაციის ნაწილიც პროგრამისთვის არის სასურველი რაოდენობის.

ნანა მაჭარაშვილმა განმარტა, რომ რეალურად საჯარო მმართველობისთვის რელევანტური, უშუალოდ, საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე კადრების რაოდენობა ერთ მეთაედს შეადგენს. რეალურად უნივერსიტეტი ნელ-ნელა ივსება დარგთან ადეკვატური და კვლევითი გამოცდილებით საჯარო მმართველობასთან რელევანტური პუბლიკაციების მფლობელი ადამიანებით და უნივერსიტეტმა გარკვეულწილად მაქსიმუმი გააკეთა ამ მიმართულებით, მაგრამ სიტუაცია კიდევ უფრო გასაუმჯობესებელია, და ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია. მისი თქმით, საჯარო მართველობის სფეროთი დაინტერესებული და შესაბამისი კვლევითი პროდუქტიულობით იდენტიფიცირებული კადრების მოზიდვის აუცილებლობა მაინც დგას.

ასევე ნანა მაჭარაშვილმა განმარტა, რომ დარგი ინტერდისციპლინურია. ციფრულ მმართველობას თუ ეხება საქმე, ფაქტია, რომ უნივერსიტეტს სჭირდება ისეთი ადამიანი, რომელიც ერთდროულად ერკვევა ტექნოლოგიებში, ერკვევა მმართველობის ლოგიკაში, ერკვევა და თანამედროვე პერსპექტივით შეუძლია ინტერდისციპლინური პერსპექტივით ამ ყველაფრის წარმოდგენა. მისი აზრით, ეს შეიძლება იყოს კუტუტელის პროგრამით, ეს შეიძლება იყოს თანახელმძღვანელობის რაკურსით, ექსპერტთა ჯგუფმა, უბრალოდ, მოითხოვა ფორმალიზება იმ კავშირების, რომელიც დღემდე უნივერსიტეტს გააჩნია.

ხოლო რაც შეეხება კითხვას, რომელიც დაისვა რამდენად გვინდა და გვესაჭიროება სადოქტორო პროგრამაც ციფრული მმართველობის ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით საჯარო მმართველობაში, ნანა მაჭარაშვილმა განმარტა, რომ ძალიან მყარი პოზიცია იყო უნივერსიტეტის მხრიდან, რომ დარგი საჭიროებს ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული კადრების წარმოდგენას და ახალი კადრებით ამ სფეროს შევსებას. ერთადერთი რასაც ექსპერტთა ჯგუფი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ ეტაპზე არის ის, რომ პროგრამა უფრო მეტად პრაქტიკოსებზე არის ორიენტირებული, ანალიტიკოსებზე ვიდრე მკვლევარებზე ამ მიმართულებით. მისი თქმით, კარგია რომ უნივერსიტეტი ექსპერტთა ჯგუფს ამ ნაწილში იმ კუთხით ეთანხმება, რომ მიზნების ნაწილში, შედეგების ნაწილში აი ამ კომბინაციას რომელიც დღეს უფრო მეტად ანალიტიკოსების მომზადებაზე ორიენტირებული, მკვლევარების და ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული დოქტორების მომზადებაზე მართავს და . ეს ამ შემთხვევაში იძლევა გარანტიას, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტი იმუშავებს.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა ნანა მაჭარაშვილს, ხდება თუ არა ამ პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული უნარების განვითარება იმიტომ, რომ თვითონ სახელწოდებაც და ხელოვნური ინტელექტის თემებიც სილაბუსების დონეზე ამ უნარებს საჭიროებს.

ამასთან დაკავშირებით, ნანა მაჭარაშვილმა განმარტა, რომ, ზოგადად, მოიაზრება ციფრული მმართველობის ლოგიკები საჯარო სექტორში და, უშუალოდ, ისეთი ადამიანი, რომელიც აიტი ტექნოლოგიებს ფლობს ავტომატურად არ მოაზრება. ეს არის ის კადრები, რომელიც ამ შემთხვევაში ამ მიმართულებით პოლიტიკის წარმოების პროცესს და მართვის საკითხებს დააგენერირებენ, გადაჭრის ახალ გზებს მოძებნიან და ახალი კვლევის შედეგებს დადებენ ახალი ცოდნის შემოთავაზებით. ტენდენციურად, არის ასეთი რაკურსი და, ამ მხრივ, მისაღებია მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეიძლება ვიმსჯელოთ საჯარო მმართველობის ლოგიკებზე, როგორი და რა სახით შეიძლება წარმოვადგინოთ სწავლება კვლევის მიმართულებით, წინა შეფასების პერიოდში გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, პროგრამა მთლიანად აეწყო იმაზე, რომ წინ მმართველობის ლოგიკები მოდის და მას აიტი პერსპექტივაც ექვემდებარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ გვიანიშვილმა კვლევით კომპონენტთან მიმართებით განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურულ კვლევით კომპონენტს დაეთანხმნენ. მას შეეცვლება დასახელება იმ სემინარში როგორც ეს არის რეკომენდირებული. ეს არ შეეცვლის პროგრამის სტრუქტურას იმიტომ, რომ ეს იყო და დარჩება პროგრამის კვლევითი პროგრამის ნაწილად, რადგან დებულებებშიც გაწერილია თუ რა მოიაზრება ამაში. რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციას, ამასთან დაკავშირებით თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ ამას დაწესებულება დაეთანხმა სასარგებლო რჩევის სახით იმიტომ, რომ დოქტორანტურის დებულებაში მითითებულია, რომ გამოიყენება ჩიკაგოს აკადემიური სტილი. ინფორმაცია ჩიკაგოს აკადემიური სტილის შესახებ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი, მათ შორის, რამდენიმე უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დოქტორანტებს უტარდებათ მუდმივი სემინარები, ტრენინგები და ა.შ. სანამ ისინი იწყებენ მუშაობას სადისერტაციო ნაშრომზე უკვე იციან თუ რა სტილი მოეთხოვებათ და რა სტილში მოუწევთ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება. თუმცა არა რეკომენდაცია, არამედ რჩევა უნივერსიტეტისთვის აბსოლუტურად მისაღებია და ამას აუცილებლად გაითვალისწინებენ. რაც შეეხება ორი სასწავლო კურსის გადმოტანას სავალდებულო ნაწილში, თამარ გვიანიშვილი განმარტავს, რომ ეს შეეხება აკადემიურ წერას და კვლევების მენეჯმენტს. მისი თქმით, წარმოდგენილია, რომ ეს ორი სასწავლო კურსი იყოს პროგრამაში გადმოტანილი იმიტომ, რომ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი 48 კრედიტს შეადგენს. 48 კრედიტს რომ დაემატოს 12 კრედიტი, რაც ჯამში ამ სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა იძლევა, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი სავალდებულო ნაწილი 60 კრედიტი გახდება და მაშინ უნივერსიტეტი წინააღმდეგობაში მოვა მინისტრის ბრძანებასთან, კანონმდებლობასთან და ა.შ. იმიტომ, რომ მათ არ ექნებათ არჩევითი ნაწილი, 60 კრედიტის ზევით დოქტორანტს ვერ შესთავაზებენ არჩევითობას ანუ ეს რეალურად პრობლემის წინაშე დააყენებს ინსტიტუციას და თვითონ პროგრამას იმიტომ, რომ რეკომენდაცია რეკომენდაციად არის და კანონმდებლობა კანონმდებლობით. თუ უნდა აირჩიო ან ერთი ან მეორე და კომპრომისი არ გამოდის, მაშინ უნდა აირჩიო კანონმდებლობასთან შესაბამისობა. რაც შეეხება აკადემიური წერის სასწავლო კურსს და მის გადატანას სავალდებულო ნაწილში, ამასთან დაკავშირებით თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურის წინაპირობა არის მაგისტრატურა. მაგისტრატურის სავალდებულო კომპონენტი არის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ანუ სამაგისტრო ნაშრომი პროექტი თუ ა.შ. რომლის წერისთვის გარკვეული უნარები სტუდენტს უნდა გააჩნდეს. დოქტორანტი და მისი ხელმძღვანელი ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ამ სასწავლო გეგმის მნიშვნელობა ზუსტად იმაშია, რომ წინასწარ იყოს იდენტიფიცირებული დოქტორანტის საჭიროებები დოქტორანტის წინასწარი უნარები, რომელიც აუცილებელია კვლევითი კომპონენტის შესასრულებლად და შედეგის მისაღწევად. სხვა შემთხვევაში არ შედგებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დოქტორანტი ელემენტალურად თავისი სურვილით აირჩევდა ამა თუ იმ სასწავლო კურსს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება ჩარიცხვისთანავე. მას ხელს აწერს თავად დოქტორანტი, რომელიც აცნობიერებს საკუთარ საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანის კომბინაცია იძლევა იმის გარანტიას, რომ გააზრებული იქნება დოქტორანტის საჭიროება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგება მაქსიმალურად სწორად. თუ სწავლის პერიოდში დოქტორანტს შეექმნება სხვა საჭიროებებიც შევა ელემენტარული ცვლილებები ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში და ის გააგრძელებს თავისუფლად სწავლას. პროგრამა აძლევს შესაძლებლობას დოქტორანტს გაიუმჯობესოს უნარები იმ მიმართულებით, რომელიც პირობითად სასწავლო კურსებში არ არის გათვალისწინებული ამ პროგრამით. დოქტორანტს შეუძლია ბითიუს ნებისმიერი პროგრამიდან აირჩიოს სასწავლო კურსი თავის ხელმძღვანელთან კონსულტაციით და ეს სასწავლო კურსი გაიაროს თუ საჭიროება იქნება უნივერსიტეტი თავად მიმართავს პარტნიორ დაწესებულებას ანალოგიური თხოვნით და დოქტორანტი იქ გაივლის ამ სასწავლო კურსს. ამ შემთხვევაში არ ხდება კრედიტის მინიჭება ეს არის დოქტორანტის დახელოვნება მისი

ხელშეწყობა იმ მიმართულებებში იმ სასწავლო კურსებში, რომელიც მას შეიძლება დასჭირდეს კვლევის პერიოდში. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სასწავლო კომპონენტის ათვისების პერიოდში, ისე შემდგომ კვლევის პერიოდში, დოქტორანტი ამაში არ იზღუდება.

თამარ გვიანიშვილმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა ერთი ორი კომპონენტის შეფასებაზე, რეკომენდაციაზე - შედეგების რუკაში გამოიკვეთოს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. კურიკულუმის დანართი, ეს არის კურიკულუმის მერვე გვერდი, იქ არის მითითებული ყველა სავალდებულო კომპონენტი და, აგრეთვე, მითითებულია რა შედეგზე გადის ეს სასწავლო კურსი. კერძოდ, ეს არის ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. აბსოლუტურად ყველა სასწავლო კურსის გასწვრივ ეს მითითებულია. ისევე როგორც არის მითითებული ტრანსფერული უნარები, რომელზეც ანალოგიურად გაჰყავს ამ სასწავლო კურსს. მეოთხე საქალაქო თანდართული თვითშეფასების ანგარიშისა იქ არის სწავლის შედეგები შეფასების მექანიზმები და ერთი საქალაქო, რომელსაც ჰქვია რუკები, შესაბამისობის რუკები კურიკულუმის შესაბამისობის რუკა, ეს არის გვერდები ორი-რვა, იქ არის მითითებული თითოეული სასწავლო კურსის გასწვრივ თითოეული შედეგის ქვემოთ მითითებული სასწავლო კურსები, რომლებსაც გაჰყავთ დოქტორანტი ამ კონკრეტულ შედეგზე. საკმაოდ მკაფიოდ იქვე მითითებულია. ამის ნიშნულები, სამიზნე ნიშნულები შეფასების მექანიზმებიც გაწერილია და ა.შ. თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ ეს ორი ცხრილი ინსტიტუციური დონის დოკუმენტია. მათ ეს დოკუმენტები 2019 წელს შეიმუშავეს, ეს დოკუმენტები არ არის თავიდან შედგენილი, თითქმის ოცმა ექპერტმა ეს დოკუმენტი ნახა, ისევე როგორც დაახლოებით ოთხმა საბჭომ და ამ დოკუმენტთან მიმართებაში რეკომენდაციები კი არა რჩევებიც კი არ ყოფილა და კითხვები არ იყო დასმული ამიტომ, უნივერსიტეტი ამ რეკომენდაციას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება პროგრამის დასახელებას, თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ წინა ვარიანტი არ არის ნულოვანი პროგრამა როგორც ასეთი. ეს არის მოდიფიცირებული პროგრამა, რომლის ათვისების წერტილი იყო აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება, მათ შორის, ერთი რჩევა იყო, ამ დასახელებას დაემატოს „საჯარო სექტორში“ რაც უნივერსიტეტმა გაითვალისწინა.

თამარ გვიანიშვილის შემდგომ, ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ. მან აღნიშნა, რომ ეს არის უნიკალური პროგრამა არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ განახლებადობით, რადგანად ეს არის ციფრული მმართველობა და არა კლასიკური საჯარო მმართველობა, სადაც რაღაცა დოზით წარმოდგენილია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია ეს არის თანამედროვე ფუნდამენტური კვლევების ნაწილში ყველაზე განახლებადი პუბლიკაციების მქონე არეალი და აქედან გამომდინარე ის სრულიად ეთანხმება ნანა მაჭარაშვილს, რომ არა მარტო შემოდგომაზე უნდა განახლდეს ლიტერატურა, არამედ, სავარაუდოდ, ყოველ სემესტრში მოხდება მისი განახლება. ზვიად გაბისონია, ასევე, შეეხო პროგრამის განმახორციელებელ კონტინგენტს, მისი აზრით, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ, ზოგადად, ბაზარზე კლასიკური საჯარო მმართველობის დოქტორები ხშირად არარელევანტურები არიან მათი კვლევითი არეალიდან გამომდინარე, რადგან აქ საუბარია ციფრულ მმართველობაზე, რომელიც მოიცავს ძალიან სპეციფიკური მიმართულებების კვლევებს. იგი განმარტავს, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა რამდენიმე უნივერსიტეტთან კომუნიკაცია პროფესორებთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთ-ერთში ამ მიმართულებით 50 სპეციალისტია. თუმცა პრობლემა ამ ნაწილში ისევ რჩება იმიტომ, რომ ციფრული მმართველობის მიმართულებით ძალიან ცოტაა მკვლევარი.

ზვიად გაბისონიამ, ასევე, განმარტა, რომ ტალინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან მჭიდრო კავშირი აქვთ და ისინი მზად არიან თანახელმძღვანელობის ნაწილზე. და, ასევე, ახსენა რამდენიმე პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტი, რომელთაგანაც უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს და მომავალშიც გააგრძელებს.

ზვიად გაბისონია, აგრეთვე, შეეხო, პროგრამის სათაურს და განმარტა, რომ ეს არის შინაარსობრივი დატვირთვა, აქ საუბარია ძალიან სპეციფიკურ მიმართულებაზე, რადგან ისინი

არ აპირებენ კლასიკური საჯარო მმართველობის განვითარებას. მისი განმარტებით, უნივერსიტეტის ამოცანა არის ის, რომ ყურადღება გამახვილდეს ანალიტიკურ მიმართულებაზე და, რაც მთავარია, ფუნდამენტური კვლევების მიმართულებაზე, ახალი ცოდნის აღმოჩენაზე ორიენტირებულ კვლევებზე. ამისათვის საჭიროა ე.წ. ფოლის მეიკერები და მკვლევრები, რომლებიც სემინტების მიხედვით იმუშავენ. იუსტიციის მიმართულება, რომელიც წამყვანია ამ ნაწილში, წამყვანი სამინისტროა, ციფრული მმართველობის სააგენტო, გამოყოფილია ციფრული ეკონომიკის მიმართულება. ეკონომიკის სამინისტრო ხელოვნურ ინტელექტთან ერთად მუშაობს ეროვნულ სტრატეგიაზე, მათ შორის, ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიაზე და უნივერსიტეტი ცდილობს, რომ ელექტრონული მმართველობა იყოს მაღალი დოზით წარმოდგენილი.

პროგრამის შესახებ, ასევე, ისაუბრა პროგრამის თანახელმძღვანელმა ხათუნა ბურკამემ. მან განმარტა, რომ პანდემიამ, გლობალურმა კრიზისმა ფუნდამენტურად აჩვენა მსოფლიოს თუ როგორი არის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი. ტექნოლოგიების დანერგვა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს პრაქტიკულად ყველა საკვანძო სფეროში საქმიანობის უწყვეტობას და, მეორე მხრივ, ასევე, ხელს უწყობს ნაკლები დანახარჯებით უმოკლეს პერიოდში შედეგის მიღწევას და სწორედ ამ პროგრამის ამოცანაა ის, რომ უნივერსიტეტმა შეცვალოს საჯარო მმართველობის კლასიკური გაგება და შეცვალოს ახალი ცოდნის გენერირებით იმიტომ, რომ გამოკვეთილი ოთხი მიზანი, რომელიც აღნიშნულ პროგრამას გააჩნია ეფუძნება კვლევებს იმიტომ, რომ როდესაც ვსაუბრობთ საჯარო მმართველობის ახალ ფორმაზე, ციფრული მმართველობის სახით და ხელოვნური ინტელექტის სახით ცხადია საჭიროა ახალი ცოდნის გენერირება და შესაბამისი ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულებას სთხოვა განემარტათ რა ცვლილებები განიცადა პროგრამამ წინა წარმოების შემდგომ. ასევე მან გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულია არაუმეტეს 60 კრედიტისა, ამიტომ შეიძლება პროგრამაში არ იყოს სავალდებულო 48 კრედიტი შეიძლება იყოს სულაც 30, 20 ან ნაკლებიც. გოდერძი ბუჩაშვილმა, ასევე, შეკითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, თუ რამდენ დოქტორანტს აქვს დაცული მისი ხელმძღვანელობით, კონკრეტული მიმართულებით, ან სხვა მიმართულებითაც თუ აქვს ამისი გამოცდილება.

შეკითხვა გაუჩნდა, ასევე, საბჭოს წევრს, ირინა ლობჯანიძეს, მისი განმარტებით მსგავსი ტიპის პროგრამებში, წინაპირობას წარმოადგენს ციფრული კონპეტენციის დონის განსაზღვრა, რაც აღნიშნულ პროგრამაში არ იძებნება. აქედან გამომდინარე, ირინა ლობჯანიძემ სთხოვა დაწესებულებას მათი პოზიცია დაეფიქსირებინათ ამ საკითხის მიმართ, თუ მოხდა ამ პროგრამის მსგავსი ტიპის პროგრამებთან დადარება და როგორია მათი ხედვა ამ მიმართულებით. მეორე შეკითხვა კვლევის მეთოდების სილაბუსთან დაკავშირებით დაისვა - ხომ არ იქნებოდა უკეთესი, კვლევის მეთოდებში უფრო მეტი ყურადღება ყოფილიყო გადატანილი ციფრული რესურსების გამოყენებაზე.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა, ასევე, გააკეთა კომენტარი და ჰკითხა დაწესებულებას, თუ რატომ მოხდა მენეჯმენტისა და ლიდერობის არჩევით სასწავლო კურსად დამატება და რას მისცემს ეს კურსი დოქტორანტს. მისი განმარტებით, ეს კითხვა იმიტომ გაჩნდა, რომ თავისთავად სილაბუსი ძალიან საინტერესოა, ჰარვარდის ქეისებია გამოყენებული, მაგრამ კურსი იმგვარად არის აგებული, რომ არც მენეჯმენტია, არც ლიდერობა და, მითუმეტეს, საჯარო ადმინისტრირებას ვერანაირად ვერ უკავშირდება.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა განმარტა, რომ ვერ ნახა თანდართული დოკუმენტი ხელმძღვანელისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების სამუშაო აღწერილობებით და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი და სამეცნიერო

ხელმძღვანელი. მეორე კითხვა შეეხება ტერმინოლოგიას, ტერმინი ოპონენტი, შემფასებელი ან რეცენზენტი, რომელთა გამოყენებაც გარკვეულწილად ერთმანეთშია არეული და კითხვებს ბადებს, ეს ერთიდაიგივე ოპონენტი იგულისხმება შემფასებელი თუ რეცენზენტი სხვა არის და ოპონენტი სხვა არის.

საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა იმის შესახებ, თუ მიღებისას რა ცოდნის აპლიკანტებს მიენიჭებათ უპირატესობა და რამდენი აპლიკანტის მიღებას აპირებს ინსტიტუცია.

საბჭოს წევრმა ევატერინე შაკიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას განმარტათ თუ რა აქტივობები იგეგმება გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში და ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტი არის ინსტრუმენტი. ამ ინსტრუმენტის შექმნაზე არ არის საუბარი და დაინტერესებულ მხარეს რადგანაც ხელოვნური ინტელექტი უწერია სათაურში ხომ არ უჩნდება რაღაცნაირად ეს ამბიცია, რომ თვითონ უნდა იმუშაოს ინტელექტზე და არა მის გამოყენებაზე. პროგრამების დასახელება ციფრული მმართველობა აბსოლუტურად გასაგებია, თუმცა კითხვას ბადებს, რატომ არის წინ წამოწეული ხელოვნური ინტელექტი და შეცდომაში ხომ არ შეიყვანს აპლიკანტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ განმარტა, რომ პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კვალიფიკაციის მიმართულებით რადიკალურად მოხდა მისი გადამუშავება, რაც თვითონ ბადეშიც აისახა და საჯარო მმართველობის კომპონენტები ძალიან აქტიურად დაემატა. რაც შეეხება მენეჯმენტსა და ლიდერობას, მისი განმარტებით, ეს პირდაპირი რეკომენდაცია იყო, რომ ასეთი ფორმატის ყოფილიყო. უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშავა იმაზე, რომ წინა პლანზე წამოსულიყო ციფრული მმართველობა. მან, აგრეთვე, განმარტა, რომ პრიორიტეტში შესაძლებელია იყოს ხელოვნური ინტელექტი. ლოგიკა სწორედ აწყობილი უნდა იყოს იმ კვლევებზე, რომელ სეგმენტებშიც შეიძლება სამომავლოდ გახდეს ხელოვნური ინტელექტი საქართველოში გამოყენებადი და მთავარია რამდენად სწორად შევძლებთ ამ ძვირადღირებული ტექნოლოგიის სწორი მიმართულებით გამოყენებას. მან, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა მის კვალიფიკაციაზე და მისი ხელმძღვანელობით დაცულ ნაშრომებზე და განმარტა, რომ იგი არის სამართლის დოქტორი, ხოლო მისი დოქტორანტების რაოდენობა 7-დან 9-მდეა.

ზვიად გაბისონიამ, ასევე, ისაუბრა იმაზე, თუ რამდენი აპლიკანტის მიღებას აპირებენ და ეს რიცხვია - 5. სასურველია, რომ ხუთივე დოქტორანტი იყოს სხვადასხვა სეგმენტში მომუშავე მკვლევარი, თუმცა ძალიან ძნელია ამის წინასწარ განსაზღვრა, თუმცა წინასწარი მოკვლევები და ბაზრის ნაწილი გაკეთებულია. რაც შეეხება თვითონ მიღების ნაწილს, მისი განმარტებით წინაპირობაში, მითითებულია თუ რა ტიპის მაგისტრი შეიძლება იყოს დაშვებული ამ პროგრამაზე. რაც შეეხება მემორანდუმებს, მან განმარტა, რომ მჭიდრო კავშირი აქვთ ადგილობრივ სამინისტროებთან და არაერთი პროექტის განხორციელებას გეგმავენ და ამ კუთხით ნაბიჯები უკვე გადადგმულია. რაც შეეხება უცხოელ პარტნიორებს მან განმარტა, რომ ძალიან ბევრი პირდაპირი გაგებით პარტნიორი ჰყავთ, მათ შორის, ბოლო პერიოდში დაემატა ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთად ვიადრინა, დაემატა შტაინბაისის უნივერსიტეტი, რომელიც გამოყენებითი კვლევების მიმართულებით გერმანიის ლიდერი უნივერსიტეტი. ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით იტალიის და ესპანეთის - ლა კონურიას და ლა საპიენიცას უნივერსიტეტები. ასევე, კონტაქტები დამყარებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც.

ფაკულტეტის დეკანმა ელენე მამუკელაშვილმა განმარტა, რომ ბითიუში მოქმედებს ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტიტუცია, რომელიც საჯაროდ ვებგვერდზეც არის განთავსებული, რომელიც იმასთან ერთად თუ რა უფლება-მოვალეობები გააჩნია პროგრამის

ხელმძღვანელს, ბუნებრივია, განსაზღვრავს მის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსაც, რომ უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის ან პროგრამის არანაკლებ 2 წლის დადასტურებული გამოცდილება და, ასევე, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე, ან ადასტურებს თავის კომპეტენციას, კვალიფიკაციას, პროფესიული პრაქტიკული გამოცდილებით. ხელმძღვანელის დანიშვნა არ ხდება ფაკულტეტის დეკანის მიერ, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არის ის ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე. რაც შეეხება ოპონენტის და შემფასებლის საკითხს. ოპონენტი არის პირი, ორი ოპონენტი ინიშნება დაცვის სტადიაზე. ოპონენტის დადებითი დასკვნა წინაპირობაა იმისათვის, რომ დოქტორანტი დაშვებული იყოს დაცვაზე, რაც შეეხება შემფასებლებს ე.წ. სადისერტაციო დარგობრივი კომისია დგება დოქტორანტის სადისერტაციო შეფასების მიზნით, რომელსაც თითოეულ შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს. რაც შეეხება ოპონენტის როლს, ამ შემთხვევაში ოპონენტი პროცესში მონაწილეობს სათათბირო ხმებში. სადისერტაციო ნაშრომის დასრულების ეტაპზე, როდესაც დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თავის დასრულებულ ნაშრომს, სავალდებულო მოთხოვნა არის, რომ ჰქონდეს რეცენზენტის დასკვნებიც წარმოდგენილი. ამის შემდეგ უკვე, როდესაც მიიღებს სანდო რეკომენდაციას სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაცვის დანიშვნის თაობაზე და ამ ფარგლებში ინიშნება დამატებითი ორი პირი, რაც განსხვავდება რეცენზენტისგან, ოპონენტი და შემდეგ უკვე როგორც უკვე თქვით ოპონენტების დასკვნის დადების არსებობის შემთხვევაში დარგობრივი სადისერტაციო კომისია იქმნება.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ხათუნა ბურკაძემ განმარტა, რომ დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ქვაკუთხედი არის ციფრული უნარების განვითარება. მისი განმარტებით, ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის ურთიერთკავშირი არის ძალიან მკაფიოდ გამოკვეთილი ამ შემთხვევაში ამ სადოქტორო პროგრამის, უშუალოდ მისი ადრესატი არი რა საჯარო მმართველობა. ამიტომაც არის სათაურში გამოტანილი ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში. თავისთავად სადოქტორო პროგრამის ეს სახელწოდება მიაწინებს იმაზე, რომ უნივერსიტეტის ამოცანაა ამ შემთხვევაში, რომ ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის საუკეთესო პრაქტიკა, საუკეთესო გამოცდილება დაინერგოს საჯარო მმართველობის ყველა საკვანძო მიმართულებით ეს ერთი და, მეორე მხრივ, ასევე კვლევების საფუძველზე შეიქმნას ახალი ტიპის მიდგომები არსებული საუკეთესო პრაქტიკის შედეგად.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა, სთხოვა ინსტიტუციას ორიოდ სიტყვით პასუხი გაეცა მენეჯმენტის და ლიდერობასთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზე და დაეფიქსირებინა პოზიცია იმის შესახებ, ხომ არ გადახედავდნენ ამ კურსს და აქაც, ხომ არ შესთავაზებდნენ სტრატეგიულ ლიდერობას საჯარო სექტორში, მენეჯმენტსა და სტრატეგიულ ლიდერობას ან სტრატეგიულ მართვასა და ლიდერობას.

ამასთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ გვიანიშვილმა და განმარტა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ რჩევას ან რეკომენდაციას თუ იგი ამ სახით გაიცემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ნანა მაჭარაშვილმა, განმარტა, რომ დამსაქმებლებთან ურთიერთობის კუთხით კარგი სიტუაციაა და რომ უნივერსიტეტის სულისკვეთება ნათლად ჩანს, მის დამოკიდებულებაში ამ საკითხის მიმართ.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ, კითხვა დასვა ხელოვნური ინტელექტის კურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ამ სავალდებულო კურსის სწავლებას სჭირდება სერიოზული წინაპირობის არსებობა, და ამასთან დაკავშირებით აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია.

დაწესებულებამ განმარტა, რომ ამ სილაბუსის ავტორია მიხეილ რუხაია და, რომ მან ძალიან კონცენტრირებულად და ზუსტად იცის თუ, რა დოზით შეიძლება სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს მიაწოდოს ის ელემენტარული ცოდნა საინფორმაციო დონეზე, რაც მას სჭირდება ამ პროგრამის განხორციელებისთვის. აგრეთვე მან აღნიშნა, რომ დოქტორანტებს

შესაძლებლობა ეძლევათ შეისწავლონ ნებისმიერი სასწავლო კურსი მსმენელის სტატუსით თუ უნივერსიტეტს არ ექნება ასეთი სასწავლო კურსი, რომელიც მისთვის იქნება საჭირო, მოხდება მიმართვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან. აქედან გამომდინარე სასწავლო კურსი იქნება თუ კვლევითი კომპონენტი ყურადღების მიღმა არ დარჩება და იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსებით.

პროგრამის თანახემდგვანელმა, ხათუნა ბურკაძემ განმარტა, რომ დაშვების თითოეული წინაპირობა ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზებას, მათ შორის, უნივერსიტეტის მიერ მიღებული გამოცდილების გაანალიზებას და არამხოლოდ თეორიულად დადარებას ამ საკითხების. ასევე როცა საუბარია ლიტერატურის აღქმაზე, მხედველობიდან არ უნდა დაიკარგოს ის, რომ დოქტორანტობის მსურველმა უნდა წარადგინოს კვლევის კონცეფცია და გაიაროს გასაუბრება. ეს გასაუბრება კონცეფციის წარდგენასთან ერთად არის აუცილებელი იმისათვის, რომ უნივერსიტეტი დარწმუნდეს რამდენად სწორ კანდიდატებს ირჩევს იმისათვის, რომ მათი შესაბამისი გამოცდილებით, კონცეფციით, უნარებით პასუხობდნენ იმ მიზნებს და იმ შედეგებს, რომლებზედაც შემდგომ ამ პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა გავიდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:30

დასრულების დრო: 21:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წამოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

- რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამის მიზნებში აქტიურად და პროპორციულად იკვეთებოდეს უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადი.

- რეკომენდირებულია, რომ სწავლის შედეგების რუქაში ხდებოდეს დაზუსტება, იმის, თუ რა კომპონენტებით არის უზრუნველყოფილი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევადობა დაგეგმილი და მეტად გამოიკვეთოს შედეგების გაზომვის პოტენციალი.

- რეკომენდირებულია ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
- რეკომენდირებულია, რომ მეცნიერებისა და კვლევების მენჯმენტის კურსი, ისევე როგორც აკადემიური წერა, სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობის გამოცდილების განვითარებაზე მეტად ორიენტირებული კურსის სახით ტრანსფორმირების პირობებში, სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სახით იქნას იდენტიფიცირებული.
- რეკომენდირებულია, სადისერტაციო პროგრამის სტრუქტურაში გადაიხედოს სადოქტორო სემინარის მიზანი და შესაბამისი სტატუსიც. იმ შემთხვევაში, თუკი უნივერსიტეტი პოზიციას არ შეიცვლის, რეკომენდირებულია რომ აღნიშნული კომპონენტი იდენტიფიცირებული იქნას როგორც კოლოქვიუმი.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მეტწილად ეფუძნება საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხების უახლოესი კვლევის შედეგებსა და დარგის თანამედროვე მიღწევებს, უშუალოდ საჯარო მმართველობის ციფრული განხორციელების სწავლებისა და კვლევის მიზნით სფეროს რელევანტური მასალებით კიდევ უფრო მეტად ინტეგრირების საჭიროება მაინც იკვეთება. ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია, შესაბამის ბიბლიოგრაფიაზე, საავტორო და თემატურ ინდექსებსა და თუნდაც, ამ უახლოეს გამოცემაში ფიქსირებულ ავტორებზე მეტი აქცენტირება (Digital Government Managing Public Sector Reform in the Digital Era (Routledge Masters in Public Management) (Lips, Miriam) 2020)."
- რეკომენდირებულია, განხორციელდეს 2.3. ქვესტანდარტში ფიქსირებული შესაბამისი კურსების მინიმუმ ძირითადი ლიტერატურის დონეზე, უშუალოდ მისანიჭებელი ხარისხის შესაბამის - საჯარო მმართველობის სფეროსთან მეტი კავშირის მქონე თემტიკითა და უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
- რეკომენდირებულია აკადემიური წერის კურსის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში გადატანა, ვინაიდან მაღალია ალბათობა, რომ მსგავსი შინაარსის კურსი სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური ფოკუსით, პროგრამაზე ჩაბარებული სტუდენტების დიდ ნაწილს არ ექნება გავლილი.
- რეკომენდირებულია, რომ სადისერტაციო დოკუმენტაციაში დოქტორანტურის დებულებაში წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნების გაცილებით მეტად დეტალური განმარტება და კონკრეტული ინსტრუქციებისა და ილუსტრაციების/მაგალითების მოყვანა და იდენტიფიცირება ხდებოდეს ცალკე დოკუმენტის სახით, რომელშიც მოცემული იქნება სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია და ამასთან, მსგავსი დოკუმენტი ორიენტირი აღმოჩნდება სხვა სახის დოკუმენტებზე, მათ შორის გამოსაქვეყნებლად მოსამზადებელ სტატიებზე, მუშაობისთვისაც.
- სადოქტორო პროგრამაში ჩართული კვალიფიციური კადრების არსებობისა და აქტიური ინტეგრირების მიუხედავად, რეკომენდირებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მოხდეს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი დარგობრივი - საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა განსაკუთრებით უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელის ფარგლებში არსებული პროფესორების დოქტორანტების თანახელმძღვანელებად მოწვევის მიმართულებით.

რჩევები:

- სასურველია, რომ მეტი ფორმალურობის დაცვით ხდებოდეს საერთაშორისო კავშირების დადასტურება - კერძოდ, დაზუსტდეს თანამშრომლობის ფორმატები - სადისერტაციო ნაშრომების საერთო ხელმძღვანელობა, სადისერტაციო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა, რეცენზირება, სემესტრული ვიზიტები პროსპექტუსების ან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მიზნით და ა.შ. დღეს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ცალკეული მემორანდუმები შეიცავს მსგავს ინფორმაციას და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა ელექტრონული კომუნიკაციით დადასტურებული თანხმობა პროგრამასთან

თანამშრომლობის მზაობის თაობაზე, ის, თუ რა სახითა და ფორმით განხორციელდება ეს თანამშრომლობა, რეკომენდირებულია, რომ იყოს წინასწარ გაწერილი და დაზუსტებული.

- სასურველია სადოქტორო პროგრამაში იდენტიფიცირებული პროგრამის მიზნების ფორმულირება ხდებოდეს იმ სახით, როგორც ეს პროგრამის რუქაშია მოცემული, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიზნების აღწერილობის სწავლის შედეგებთან გაიგივება.

- სასურველია სწავლის შედეგების აღწერილობის შინაარსობრივი მხარე აქტიურად გამოიკვეთოს და უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადის შესაბამის ფორმულირებებში აქტიურად გამოჩნდეს ის პოტენციალი, რაც პროგრამას გააჩნია საჯარო მმართველობის ციფრული პარამეტრის ყველა მიმართულებით დაფარვის დონეზე, იქნება ეს სექტორული (ციფრული ეკონომიკა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება და მეცნიერება, იუსტიციის სისტემა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა), კონცეპტუალური (G2C, G2B, G2G, G2E) თუ ციფრული მმართველობის განხორციელების დონეებიდან გამომდინარე.

- სასურველია, რომ პროგრამის შედეგების რუქაში, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის თითოული კომპონენტის რუქაში სამიზნე ნიშნულების განსაზღვისას მითითებება ხდებოდეს ინტერვალური გრადაციებით.

- სასურველია, რომ კვლევის მეთოდების სილაბუსში დაზუსტდეს იმ მეთოდების ჩამონათვალი, რომლის დაფარვაც იგეგმება, განსაკუთრებით თვისებრივი კვლევის მეთოდების ნაწილში.

- აკადემიური წერის კურსის წარმოდგენილი სილაბუსი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სამეცნიერო წერის სახით იყოს შემოთავაზებული, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა მისი შინაარსი საკმაოდ აქტიურად ემთხვევა ამ სახელწოდებას. სასურველია ასევე, რომ მასში შემოტანილი იყოს პუბლიკაციებზე მუშაობის (შერჩევა, სამუშაო პროცესი... და რეცენტენტების მიერ მიღებულ შენიშვნებზე მუშაობა და ა.შ.) და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის სპეციფიკაც, რათა უშუალოდ სამეცნიერო კომპონენტის დაწყებამდე სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი წარმოდგენა მათ წინაშე არსებული მოთხოვნების შესახებ.

- სასურველია, რომ დოქტორანტურის დებულებაში აქცენტი კეთდებულდეს დისერტაციის პრაქტიკულ რეპლიკაციის შესაძლებლობაზე და არა ორი ტიპის დისერტაციაზე. სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ ამ ტერმინების „გამოყენებითი ხასიათის დისერტაცია“ და „თეორიული მნიშვნელობის დისერტაცია“ გამოყენება დებულებაში არ ხდებოდეს.

- სასურველია, რომ პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - კერძოდ კი, 4. სამეცნიერო პუბლიკაციების ქვეკუთხედის განმარტებისას, დაზუსტდეს, რომ დოქტორანტს ეთვლება თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც.

- სასურველია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით არსებული მზაობა დადასტურებული იყოს შესაბამისი დოკუმენტებით.

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაცილებით აქტიური მუშაობა აწარმოოს უცხოელ პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობის ფორმალიზაციისა და თანახელმძღვანელობის სისტემის გასამართად.

- სასურველია, რომ უნივერსიტეტი სამეცნიერო პროდუქტიულობის მონაცემების კალკულამციისას მხოლოდ სამეცნიერო ჟურნალებითა და კონფერენციებით ხელმძღვანელობდეს და არ ითვლიდეს არასამეცნიერო ტიპის გამოქვეყნებებსა და მოხსენებებს.

- სასურველია, აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის მიხედვით დაგროვებული საბოლოო შედეგი ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობას. სასურველია პერიოდულობით უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი დოკუმენტის ე.წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტის სახით.

3. მესამე საკითხი: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის “მეწარმეობა და ინოვაციების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეწარმეობა და ინოვაციები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

აცილება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე განაცხადა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა, ხოლო ირინა გველესიანმა მისი ოჯახის წევრის შრომითი ხელშეკრულების გამო. სხდომა დატოვა ლევან მოსახლიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის ასოცი კრედიტი, აქედან ასათი კრედიტი არის სავალდებულო კომპონენტი, ხოლო ათი კრედიტი არის არჩევითი, ასათიდან სამოცდათხუთმეტი ეთმობა სასწავლო კურსებს, თხუთმეტი კრედიტი არის პრაქტიკა, ოცდაათი კრედიტი კი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მენეჯმენტის მაგისტრი. პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაში არის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა გამოყო საუკეთესო პრაქტიკა და ეს არის სტარტაპ ფაქტორი, სტარტაპ ფაქტორი ეს არის სივრცე დაწესებულებაში, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური ბიზნეს იდეების განვითარებას და შემდგომში მათი დაფინანსების მოძიებას. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დავით სიხარულიძემ განმარტა, რომ იგულისხმება სამიზნე ნიშნულები, პერიოდულობა შეფასების და სწავლის შედეგების მიღწევის დონეების ლოგიკის დახვეწა, რადგან ზოგიერთ სწავლის შედეგთან მიმართებით ეს ლოგიკა დარღვეულია. მეორე რეკომენდაცია დაკავშირებული არის სწავლის შედეგების გაცნობასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად იცნობს სწავლის შედეგებს და, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აქტიური მუშაობა არის საჭირო, რათა მეტად გაეცნონ და მეტად იყვნენ ჩახედული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. მესამე რეკომენდაცია ეხება თავად სასწავლო პროცესს, რომელიც არის დაკავშირებული ბერკლის უნივერსიტეტის ცენტრთან პარტნიორობის ფარგლებში, პროგრამის განხორციელებისთვის ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ამ სფეროში საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები. აქ იგულისხმება, ის, რომ როდესაც მივლინებული არის სტუდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პროგრამის ფარგლებში მკაფიოდ არ ჩანდა თუ როგორ ხდებოდა შეფასება შუალედური და საბოლოო გამოცდის და თვითონ სასწავლო პროცესი როგორ წარიმართებოდა. მეოთხე რეკომენდაცია დაკავშირებულია სტრუქტურასთან, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ისეთი სასწავლო კურსი როგორც არის მიტროდების ჯაჭვის მართვა უნდა დაემატოს ძირითადი სწავლის სფეროს მოდულს. მეხუთე რეკომენდაცია დაკავშირებულია, ისევ, სასწავლო კურსთან მის შინაარსთან, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში საჭიროებს შინაარსის დახვეწას სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მეექვსე რეკომენდაცია დაკავშირებულია, იმასთან, რომ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც ბერკლის უნივერსიტეტის ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამაში არის გათვალისწინებული. მეშვიდე რეკომენდაცია დაკავშირებულია შეფასების სისტემასთან, კერძოდ, იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებსაც სტუდენტები გაივლიან ბერკლის ცენტრში შეფასებაში აისახოს შესაბამისი განმარტება, თუ როგორ ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასების მოპოვება მოცემულ საგანში. მერვე რეკომენდაცია დაკავშირებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რაოდენობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. ბოლო რეკომენდაცია

ეხება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს, კერძოდ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და რეკომენდაცია შემდეგნაირად არის ფორმულირებული: რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებდეს წარმოდგენილი პროგრამის სპეციფიკას სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და, შესაბამისად, მიღებული შეფასებისას.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირაკლი ქაშიბაძემ განმარტა, რომ პროგრამა ხორციელდება აქტიური პარტნიორობით იუსი ბერკლისთან, რომელიც არის მსოფლიოში წამყვანი საჯარო უნივერსიტეტი, ჰყავს ას ათი ნობელის პრემიის ლაურიატი და არის მეორე მეწარმეობის სწავლების კუთხით მსოფლიოში სტენფორდის შემდეგ. მისი განმარტებით, პროგრამა უნიკალურია რეგიონისთვის და ძალიან რთული იყო მოლაპარაკებაში შედეგის მიღწევა, დაეწყოთ თანამშრომლობა იუსი ბერკლისთან. უნივერსიტეტს ეს თანამშრომლობა აქვს, უპირატესობა, პრიორიტეტი რეგიონის თვალსაზრისითაც და, საბოლოო ჯამში, მათ სურთ გააღრმავონ, მათ შორის, აკადემიურ ნაწილში იუსი ბერკლისთან ურთიერთობა, რომ უკვე არა მხოლოდ იყენებდნენ ამ საუკეთესო პრაქტიკას სწავლების ნაწილში, არამედ აკადემიურ სტრუქტურაშიც მათი წვლილი შეიტანონ მსგავსი პროგრამების განვითარების კუთხით.

საბჭოს თავჯდომარემ, დაწესებულებას სთხოვა განმარტება გაეკეთებინათ, როგორ ხდება გაცვლა სტუდენტების მაგალითად ბერკლის უნივერსიტეტთან და როგორ ხდება ამ სწავლის კომპონენტის სწავლის შედეგებთან მიმართებით შეფასება.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პროგრამის თანახელმძღვანელმა მედეა ჯანჯღავამ და განმარტა, რომ უნივერსიტეტმა გააკეთა აკადემიური გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად გაწერილია, თუ როგორ ხდება სტუდენტების ბერკლიში სწავლება და, ამავდროულად, მათი შეფასებაც. სტუდენტები მეორე სემესტრში მიემგზავრებიან ბერკლიში და გაივლიან მეორე სემესტრის ამ პროგრამაში არსებულ საგნებს, მათ შორის, საგნებიც დაემატა ცალკე პროგრამაში და გამოიყო ბერკლიში თუ რომელ საგნებს გაივლიან სტუდენტები და გზამკვლევიც ეს ყველაფერი წერია. სტუდენტები myug საშუალებით, რომელიც არის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა აირჩევენ მეორე სემესტრში არსებულ საგნებს, ხოლო ბერკლიში ვიზიტისას ისინი აღნიშნული სილაბუსებით, რომლებიც პროგრამაში არის წარმოდგენილი თოთხმეტი კვირის მანძილზე გაივლიან აღნიშნულ სილაბუსს. თოთხმეტი კვირის მანძილზე არსებულ შუალედურ შეფასებებს საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორები შეაფასებენ ონლაინ, ბერკლის მხარე მოახდენს აღნიშნული პროცესის ადმინისტრირებას, დაკვირვებას და იქ ადმინისტრირებას, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორები მოახდენენ თიფსისი საშუალებით აღნიშნული პროცესის წარმოებასა და შეფასებას. რაც შეეხება უკვე ფინალურ გამოცდას სტუდენტები განახორციელებენ მის ჩაბარებას ადგილზე უკვე საქართველოს უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის სტანდარტების დაცვით.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულებას სთხოვა განემარტათ, რატომ აფასებენ საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორები და რატომ არ აფასებენ ბერკლიში არსებული პროფესორები და იქედან რატომ არ ხდება კრედიტის ჩამოტანა?

ამ საკითხთან დაკავშირებით, განმარტება გააკეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა არჩილ ჯანგირაშვილმა და აღნიშნა, რომ ამ ტიპის ურთიერთობაზე მოლაპარაკებები ბერკლის უნივერსიტეტთან არ ყოფილა. ეს ურთიერთობა არ არის ტიპიური გაცვლითი პროგრამის სახის. სტუდენტს, უბრალოდ, ეძლევა შესაძლებლობა წავიდეს და ისწავლოს ის კურსები, რომლის შეთავაზება საქართველოს უნივერსიტეტსაც შეუძლია.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, სთხოვა დაწესებულებას განემარტა თუ რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ ექნებოდა სურვილი სწავლა გაეგრძელებინა ბერკლის უნივერსიტეტში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მედია ჯანჯღავამ და არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტეს, რომ სტუდენტს აქვს თავისუფლება თავად აირჩიოს სწავლას გააგრძელებს საქართველოში, თუ ბერკლის უნივერსიტეტში, ეს საკითხი კი გაიწერება, ხელშეკრულებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოდგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა იკითხა, თუ რატომ არის სილაბუსის სახელწოდება ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და და მეწარმეობაში და არამხოლოდ ადამიანური რესურსების მართვა? ასევე მისი მეორე კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რას გულისხმობს სილაბუსებით შემოთავაზებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რაც არის კლასიკური თორმეტნაბიჯიანი სწავლების მეთოდი თუ პრობლემის განხილვა, პრობლემური სიტუაციის განხილვა მაგალითით სწავლება.

საბჭოს წევრმა დავით ჩოჩიშვილმა დასვა შეკითხვა პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ „ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში“ ამ საგნის ლექტორი არის ბაკალავრი და მის რეზიუმეშიც მხოლოდ ბაკალავრის კვალიფიკაციაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე სილაბუსი გახლავთ „მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში.“ მისი თქმით, კონკრეტული სილაბუსის წამკითხველი ლექტორის რეზიუმე საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მხოლოდ კვლავ ბაკალავრის დიპლომი არის წარმოდგენილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოდგენილია სამი აკადემიური პერსონალით და თექვსმეტი მოწვეული პერსონალით აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია სწორედ ეხება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას. რაც თავისთავში გულისხმობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, რომელიც ხელს უწყობს, რა თქმა უნდა, მდგრადობას. რაც შეეხება ასე ვთქვათ მოწვეულ პერსონალს, მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უმეტესობას აქვს პრაქტიკული გამოცდილება, კანონმდებლობა უშვებს ამ დაშვებას, პრაქტიკული გამოცდილების პერსონალს შეუძლია პრაქტიკული კუთხით სასემინარო და სალექციო პროცესების წარმართვა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირაკლი ქაშიბაძემ პასუხი გასცა, ეკატერინე ნაცვლიშვილის კითხვას და განმარტა, რომ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების სტრუქტურა და ამ მეთოდოლოგიის კუთხით, მთავარი პრინციპი არის ინდუსტრიასთან ბმა და მთელი ეს კურსი, მათ შორის, ბერკლის ნაწილში და, ასევე, უნივერსიტეტის შემთხვევაში არის ის, რომ როგორც სტარტაპის შემთხვევაში, ასევე კორპორაციის კომპანიის შემთხვევაში, ორივე სტრუქტურა ეფუძნება პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზის მოძიებას. შესაბამისად, მთელი პროცესი რომელიც არის ინტეგრირებული სასწავლო კურსში არის ის, რომ ინდუსტრიასთან უნივერსიტეტს ჰქონდეს აქტიური კავშირი და მათგან წამოსული კონკრეტული პრობლემებზე ხდებოდეს მუშაობა კონკრეტული საგნების ნაწილში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვა დასვა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ, პროგრამის სათაურის თარგმანში იყო სხვაობა თუ პროგრამის შინაარსი შეესაბამებოდა სათაურს?

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირაკლი ქაშიბაძემ განმარტა, რომ, ზოგადად, ისინი უდგებიან ლიდერობას როგორც უნარს პირველ რიგში, გამოყენებადი ტექნოლოგიურ ნაწილშიც და, ჩვეულებრივ ამ ნაწილში, მისი განმარტებით ლიდერობა არ არის მენეჯმენტი იმიტომ, რომ ის არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო ჯამში ამ კომპანიის წარმატებულობას და ამაზე კეთდება ძალიან დიდი აქცენტი. ლიდერობა არის ის თვისება, რომელიც პროგრამამ უნდა განუვითაროს სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა სთხოვა ირაკლი ქაშიბაძეს ორი სიტყვით ეთქვა ინფორმაცია მისი გამოცდილებისა და პუბლიკაციებთან დაკავშირებით.

ამასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა, ირაკლი ქაშიბაძემ განმარტა, რომ ბაკალავრის ხარისხი აქვს რადიო ფიზიკის მიმართულებით, ხოლო მაგისტრის ხარისხი საინფორმაციო ტექნოლოგიებში და ტელეკომუნიკაციებში, ასევე ტექნიკურ უნივერსიტეტში

დოქტორის ხარისხის მაძიებელია. მან აღნიშნა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებით და ტელეკომუნიკაციების მიმართულებით აქვს ორასზე მეტი პუბლიკაცია და თანადამფუძნებელი პირველი სამეცნიერო გამოცემის ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით ნავიგატორი. ასევე ირაკლი ქაშიბაძე არის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის აიტიუს ექსპერტი და მასთან აქტიურ კონსულტაციებს აწარმოებს ბევრი ქვეყნისთვის უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი სტარტაპ ტეფო ეკო სისტემების განვითარების, მათ შორის, ყირგიზეთში რამდენიმე ხნის წინ დაამთავრა ტექნო პარკის შექმნა. შესაბამისად, მისი თქმით საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვს აკადემიურ ნაწილში სტარტაპის კვლევების წარმოების და ასე შემდეგ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ურთიერთობის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:45

დასრულების დრო: 22:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის “მეწარმეობა და ინოვაციების” ინგლისურეოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის “მეწარმეობა და ინოვაციების” ინგლისურეოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმის და სწავლის შედეგების შეფასების რუკის დახვეწა;

- რეკომენდებულია პროგრამის აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან აქტიური მუშაობა პროგრამის

სწავლის შედეგების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების უკეთ გაცნობის მიზნით;

- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს და შემუშავდეს ბერკლის უნივერსიტეტის Sutardja Center for

Entrepreneurship and Technology (SCET) ცენტრთან პარტნიორობის ფარგლებში სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი მექანიზმი მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებისათვის გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით და პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას საქართველოს მოქმედი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები.

- რეკომენდებულია ძირითადი სწავლის სფეროს დაემატოს მიწოდების ჯაჭვის მართვის სასწავლო კურსი;

• რეკომენდებულია სასწავლო კურსების „ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში“ შინაარსის დახვეწა სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

• რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც ბერკლის უნივერსიტეტის SCET ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამაში არის გათვალისწინებული.

• რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომლებსაც სტუდენტები გაივლიან ბერკლის SCET ცენტრში, შეფასებებში აისახოს შესაბამისი განმარტება, თუ როგორ ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების მოპოვება მოცემულ საგანში.

• რეკომენდებულია პროგრამის განხორციელება დაიწყოს გაზრდილი აკადემიური პერსონალით, მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით.

• რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებდეს წარმოდგენილი

პროგრამის სპეციფიკას სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შესაბამისად მიღებული სწავლის შედეგების შეფასებისას.

რჩევები:

• სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა

• სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის გამოყენებული ლიტერატურის განახლება

• სასურველია, სასწავლო კურსის „ციფრული მეწარმეობა და კომპიუტერული უსაფრთხოება“ კვირულ ჩაშლაში შემთხვევის პრობლემის აღმოფხვრასა და შემთხვევის შესწავლა-პრევენციას მიეთითოს ინდივიდუალური შეფასების ქულა. მსგავსად, სასწავლო კურსებში „სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში“ და „ლიდერობა მეწარმეობაში“, სასურველია დაკონკრეტდეს ცალ-ცალკე ჯგუფური პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის ქულობრივი განაწილება.

• სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ინსტრუქცია, შეფასების კომპონენტები მოერგოს მოცემული სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, როგორც ეს დაწესებულებას აქვს გაკეთებული შემდეგი პროგრამებისთვის: „ბიზნესის ადმინისტრირება“, „განათლების ადმინისტრირება“, სამართლის სკოლის და სამედიცინო პროგრამებისთვის.

• სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.

• სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია გამოკითხვათა შედეგების გამოყენების შესახებ.

• სასურველია წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანდეს პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ვინაობა და ის თუ ვინ რა საგანს წაიკითხავს.

• სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, შეფასებები იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს.

• სასურველია ანგარიშების მომზადება, სადაც აისახება დაინტერესებულ მხარეთა და ხარისხის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები. სასურველია სამაგისტრო სწავლების დებულებაში გაიწეროს თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა პირმა.

4. მეოთხე საკითხი: შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
1	

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედია პროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიახელოვნების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიო ვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ.თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

აცილება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე განაცხადა გურანდა ჭელიძემ. სხდომას შემოუერთდა ლევან მოსახლიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა მეგობრულ და კოლეგიალურ გარემოში. მისი თქმით, ძირითადი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსების სტატუსის კორექტირებას. რაც გარკვეულ წილად უფრო საჭიროებდა დეტალიზაციას. რეკომენდაცია, ასევე, ეხებოდა ლიტერატურის კორექტირებას, შეფასების სისტემის ერთგვაროვან ნაწილობრივ განაწილების არაერთგვაროვნებასთან დაკავშირებით. სწავლა სწავლების მეთოდები სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით დაკორექტირებას საჭიროებს, ასევე რეკომენდაცია იყო გაცემული ბიუჯეტის ნაწილში, რადგან პროგრამას სპეციფიკიდან გამომდინარე სჭირდება შემდგომ მუდმივად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამრავალფეროვნება, მხარდაჭერა და ასე შემდეგ. ნინო ქიმერიძის თქმით, ძირითადი პოლემიკა ეხებოდა დარგობრივ ნაწილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის ხელმძღვანელმა, მირიან ყენიამ განმარტა, რომ ეთნო ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით საუბარი იყო ლიტერატურის ცვლილებაზე, რაზეც სილაბუსის ავტორმა, ლექტორმა განაცხადა რომ ეს ლიტერატურა არის მაღალი დონის ნაშრომი, და მარტო იმიტომ, რომ უფრო ეთნო ფსიქოლოგიის განხრითაა, არ თვლის, რომ განსაკუთრებულ ცვლილებებს საჭიროებდეს. ამის გარდა, მისი თქმით, თითქმის ყველა საგანში საგნების სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, ერთადერთი სახელწოდების ცვლილებაზე არ მოხდა შეთანხმება ხატვასთან დაკავშირებით, იმიტომ რომ, როგორც ისევ და ისევ სილაბუსის ავტორმა განაცხადა, ის სახელწოდება, რომელიც აქვს უკვე, ზუსტად შეესაბამება სილაბუსს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქეთევან ჯინჭარაძემ განმარტა, რომ სწავლა სწავლების მეთოდები და, შესაბამისად, აქტივობები სხვადასხვანაირად არის ახსნილი და გაგებული. დამოუკიდებელი მუშაობა ეს არის აქტივობა, რომელიც გამოიყენება ყველა სასწავლო კურსში. მან აგრეთვე მცირე კომენტარი გააკეთა ბიუჯეტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა თვლის, რომ პროგრამის ბუნებიდან გამომდინარე სკოლის ბიუჯეტი ბევრად დაეხმარება პროგრამას განვითარების თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ.

ამასთან დაკავშირებით, ქეთევან ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ ეს რიცხვი 50 ზე მეტი არ იქნებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:30

დასრულების დრო: 22:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2023 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნიდან გამომდინარე საბოლოო შედეგების მისაღწევად გადაიხედოს სასწავლო გეგმა სასწავლო კურსების სტატუსის კორექტირების მიზნით.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების სტატუსი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანხვედრას.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ანალიზის შედეგად წარმოდგენილი განმარტებები შესწავლილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომისიის მიერ და შემუშავდეს ცვლილებები პროგრამის სრულყოფის მიზნით.
- რეკომენდებულია, მიზანმიმართულად დაკორექტირდეს პრაქტიკული კომპონენტი მედია პროდუქციის დაპროექტება (9 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი - საკვალიფიკაციო ნაშრომი - პროექტი (18 კრედიტი).
- რეკომენდებულია, რუსულენოვანი ან მოძველებული ლიტერატურის ჩანაცვლება და განახლება.
- რეკომენდებულია, სწავლა-სწავლების მეთოდები გაიწეროს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების შეფასების სქემა წარმოდგენილ იქნას საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- რეკომენდირებულია, შემუშავდეს პროგრამის საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ფინანსური რესურსების გადანაწილების დოკუმენტი (დამოუკიდებელი პროგრამული ბიუჯეტი).

რჩევები:

- სასურველია მიზნების ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული იქნას ზუსტი და მორგებული დარგობრივი ტერმინები და ცნებები.
- სასურველია, წინაპირობებში დეტალურად იქნეს აღწერილი პროგრამაზე დაშვების ყველა შესაძლო შემთხვევა პოტენციურ სტუდენტთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით.
- სასურველია, უსდ-მ შეიმუშავოს მონაცემთა შედარებითი ანალიზი, ბენჩმარკინგის წარმოდგენის დროს, რათა განიმარტოს საერთაშორისო გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების არსი.
- სასურველია, გაფართოვდეს თანამშრომლობა პრაქტიკის დარგობრივ ობიექტებთან და შემოქმედებითი მიმართულების უცხოური უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან, შემუშავდეს შესაბამისი მემორანდუმები.

- სასურველია მომზადდეს ქართულ და ევროპულ, ისევე როგორც ამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამის ამუშავების შემდგომ სასურველია პროგრამა შეფასებულ იქნას დარგის უცხოელ ექსპერტთა მიერ, მისი შემდგომი განვითარებისა და დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების გამოშვების მიზნით.
- პროგრამის განხორციელების შემდგომ სასურველია ინსტიტუციაში მონიტორინგის პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით.

საბჭოს თავჯდომარე გოდერძი ბუჩაშვილმა მოითხოვა შუამდგომლობა, რათა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამივე სამართლის პროგრამის მონიტორინგი განეხილათ ერთად.

5. მეხუთე საკითხი: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№136 15.10.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

6. მეექვსე საკითხი: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის “კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგი;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
---	--

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N°170 23.07.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	კერძო სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო. ქ. თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

7. მეშვიდე საკითხი: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არააგემიური მონიტორინგი.

N° ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ		
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სისხლის სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N°137 15.10.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII

9	კვალიფიკაციის დასახელება	სისხლის სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო. ქ. თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად როგავამ განაცხადა, რომ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამი პროგრამის: სამართლის საბაკალავროს, სისხლის სამართლის სამაგისტრო და კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამების მონიტორინგი. ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგმა მოიცვა სრულად პირველი და მეორე სტანდარტი და ასევე 4.1 ქვესტანდარტი და ადამიანური რესურსები. პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტთან, მეორე მეტწილად

შესაბამისობაშია და ოთხი ერთი ასევე შესაბამისობაშია სტანდარტთან. მისი თქმით, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები, კერძოდ, სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, რომ რუკაში მიეთითოს თუ რამდენად ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი რამდენად ავითარებს გაცნობას, გაღრმავებასა და განმტკიცების სამ დონეს. ორი სამ ქვესტანდარტთან მიმართებაში, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით გაცემულია რეკომენდაცია, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებს შეეთავაზოთ არა მხოლოდ ინგლისურ არამედ გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენებზეც ან ჩასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მიეცეს მხოლოდ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც პირველ დონეზე მხოლოდ ინგლისურ ენას ფლობს. რეკომენდებულია, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის შესწავლის ნაცვლად სტუდენტებს შეეთავაზოთ ამ პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური სასწავლო კურსები ანუ ის სასწავლო კურსები, რომლებიც შესძენენ სტუდენტებს ღრმა და სისტემურ ცოდნას სისხლის სამართლის სფეროში და, ასევე, კერძო სამართლის პროგრამასთან მიმართებაში კერძო სამართლის სფეროში. ორი-ოთხ ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია, რომ პარტნიორ დამსაქმებლებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს ასევე პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების და სამართლის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხებოდა საბაკალავრო პროგრამას, მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაში რეკომენდირებულია, ასევე, მთელი რიგი სასწავლო კურსები დაშვების წინაპირობების დაზუსტება. ასევე, რეკომენდირებულია სასწავლო კურსების შესავალი კონსტიტუციურ სამართალში და საქართველოს კონსტიტუციური სამართალი ისწავლებოდეს თანმიმდევრობით სემესტრული წყვეტის გარეშე. ეკომენდებულია, განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტის, პროფესიულ პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობები და გადამუშავდეს რუკა. გარდა ამისა ორი სამ ქვესტანდარტთან მიმართებაში რეკომენდებულია სასწავლო კურსი კონსტიტუციური სამართლის სილაბუსის სასწავლო რესურსებზე ამოღებულ იქნას მთელი რიგი კანონები როგორც ძალადაკარგული ნორმატიული აქტები ან ზოგიერთი ჩანაცვლდეს ახალი ნორმატიული აქტებით. ისევე როგორც არჩევითი სასწავლო კურსის გადახდის უნარობის სამართლის სილაბუსის სასწავლო რესურსიდან ამოღებულ უნდა იქნეს როგორც გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, ასევე, გადახდის უნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს ორიათას შვიდი წლის ოცდარვა მარტის კანონი, როგორც ძალა დაკარგული ნორმატიული აქტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ბოჭორიშვილმა, დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. სრულფასოვანი შინაარსით დატვირთული და ძალიან კარგად გაწერილი რეკომენდაციებისთვის და რჩევებისთვის, რომელიც გაიცა, პროგრამის განმავითარებელმა ჯგუფმა. უკვე დაიწყო მუშაობა და ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება მიაჩნიათ რელევანტურად.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა სთხოვა ზვიად როგავას განემარტა, იმყოფებოდა თუ არა ეს პროგრამები რისკის ქვეშ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან მიმართებით, რაზეც ზვიად როგავამ უპასუხა, რომ - პროგრამები კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაშია მოყვანილი, გადაყვანილია სამ შედეგზე, სასწავლო კურსის სილაბუსების პროგრამის სწავლის შედეგებიც, მცირედი ხარვეზია სილაბუსებში ჩარჩენილ მველ ნორმატიულ აქტებში საბაკალავრო პროგრამაში, თუმცა ეს ხარვეზი მარტივად გასასწორებელია.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა კითხვა წამოჭრა მემორანდუმებთან დაკავშირებით, კერძოდ, გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, პრაქტიკის ობიექტებზე დამსწრე სტუდენტების რაოდენობაზე.

სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ბოჭორიშვილმა, განმარტა, რომ სტუდენტთა რაოდენობების მითითება ხდება წინასწარ ხელშეკრულებებში, რომელიც ფორმდება პარტნიორ ორგანიზაციებთან. ბოლო წლებში გაფორმებულ რვა მემორანდუმში მითითებული სტუდენტების რაოდენობა არ არის ათ-თორმეტ სტუდენტზე ნაკლები, გამონაკლისია ნოტარიუსების შემთხვევა, სადაც დაახლოებით ოთხი სტუდენტია მითითებული. ასევე მან აღნიშნა, რომ სტუდენტების რაოდენობა გაწერილია არა უშუალოდ მემორანდუმში, არამედ ცალკე შედგენილ ხელშეკრულებებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 23:10

დასრულების დრო: 23:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწყებული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : შეწყდა წარმოება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწყებული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 17

გადაწყვეტილება :

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სშპს -

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

საბჭომ საბოლოოდ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

- რეკომენდებულია, კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკაში მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგ სამდონეზე განვითარდეს: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.
- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებს შეეთავაზოთ არა მხოლოდ ინგლისურ, არამედ გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზეც ან დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მიეცეს მხოლოდ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც B2 დონეზე ფლობს ინგლისურ ენას.
- რეკომენდებულია, არჩევითი სასწავლო კურსების „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები“-ს და „ევროკავშირში ინტეგრაციის შესავალი“-ს ნაცვლად სტუდენტებს შეეთავაზოთ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური სასწავლო კურსები ანუ სასწავლო კურსები, რომლებიც შესძენენ სტუდენტს ღრმა და სისტემურ ცოდნას კერძო სამართლის სფეროში.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის „ბავშვის უფლებები და საერთაშორისო გარანტიები“-ს სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სამართლებრივი აქტების გარდა სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნეს აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისათვის რელევანტური თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა.
- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწყებული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 17

გადაწყვეტილება :

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სშპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

საბჭომ საბოლოოდ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

- რეკომენდებულია, სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკაში მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი

პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგ სამდონეზე განვითარდეს: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.

- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებს შეეთავაზოთ არა მხოლოდ ინგლისურ, არამედ გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზეც ან დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მიეცეს მხოლოდ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც B2 დონეზე ფლობს ინგლისურ ენას.
- რეკომენდებულია, არჩევითი სასწავლო კურსების „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები“-ს და „ევროკავშირში ინტეგრაციის შესავალი“-ს ნაცვლად სტუდენტებს შეეთავაზოთ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური სასწავლო კურსები ანუ სასწავლო კურსები, რომლებიც შესძენენ სტუდენტს ღრმა და სისტემურ ცოდნას სისხლის სამართლის სფეროში.
- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღება სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საბჭო დახურულად გამოცხადდა: 23:30 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

